გაზეთი ბევრია, „ერისა" ერთი

ერისა

ფასი 50 თეთრი

№81 (976) 28 – 29 ივლისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

იმიტირებული ტუბერკულოზი და პატიმრებისგან ნაცემი ქსნის ზონის მაყურებლები

პატიმრის დღიური გვ. 8

ქვანიას საქმე ისევ გაიყინა

დაკვატიმრებული ექსპერტი ლევან ჩაჩუა სიკვდილის პირასაა

გვ. 5

რას ამბობენ პროკურატურის კულუარებში, დაუშვებენ თუ არა ჟურნალისტებს და რა მოხდება 20 აგვისტოს წინასასამართლო სხდომაზე

ეშინია თუ არა სააკაშვილს დაჭერის

გვ. 4

არასრულწლოვანი გოგონების შინაური ცხოველებისა და ფულის სანაცვლოდ გათხოვების ტრადიცია 21-ე საუკუნეშიც გრძელდება

საქართველო, ადრეული ქორწინების მიხედვით, რეგიონში მეორე ადგილზეა

გვ. 8

ანაკლიისა და განმუხურის მოსახლეობა „კაზანტიპისგან" უდიდეს ეკონომიკურ სარგებელს ელის

გვ. 6

მხედრიონელის მიერ მოკლული პოლიციელის სიმამრი კახა თარგამაძის წინააღმდეგ

გვ. 7

„მეგობარი მეუბნება, ეროსი კიწმარიშვილის საქმე აშშ-ს გაკეთებულიაო..."

რომელ მინისტრებს გუღშემატკივრობს **ლევან ბერძენიშვილი**

გვ. 3

პირველი სექტემბრიდან საქართველოში ვიზის მიღების პროცედურები იცვლება

მაია მიშელაძე
593-51-90-12

პირველი სექტემბრიდან, საქართველოში ვიზის მიღების პროცედურები და უცხოელების ქვეყანაში ყოფნის ვადები იცვლება — საქართველოს საგარეო სამინისტრომ მიგრაციის სფეროში ერთიანი პოლიტიკა და „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ახალი კანონი შეიმუშავა, რომელიც დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორმა გიორგი ტაბატაძემ გააცნო.

როგორც საკონსულო დეპარატამენტის დირექტორმა აღნიშნა, ახალი კანონის რეგულაციების მიზანი ქართული და ევროპული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და მიგრაციული პროცესების ეფექტურად მართვა, მისი მოწესრიგება და ქვეყნის სასიკეთოდ გამოყენებაა. გიორგი ტაბატაძის თქმით, საქართველოში გრძელი ან მოკლევადიანი მიზნებით შემომსვლელ უცხოელებთან მიმართებაში, ერთიანი მიდგომა შემუშავდა. ახალი ცვლილებებით, მოკლევადიანი მიზნებიდან გამომდინარე, უცხოელის, როგორც სავიზო, ისე — უვიზო მიმოსვლის პირობებში, საქართველოში ყოფნის ვადა 90 დღით განისაზღვრა, რაც ნიშნავს, რომ უცხოეთის მოქალაქე მოკლევადიანი მიზნით, 180-დღიან ვიზას მიიღებს, მაგრამ საქართველოში მხოლოდ 90 დღის განმავლობაში დარჩება. როგორც საგარეო უწყებაში განმარტავენ, ვიზებთან დაკავშირებით საერთაშორისო პრაქტიკაში 180/90-ზე სტანდარტული სისტემა არსებობს, რომელიც 2014 წლის პირველი სექტემბრიდან საქართველოშიც ამოქმედდება.

რაც შეეხება გრძელვადიან მიზნებს, გიორგი ტაბატაძის განცხადებით, უცხოეთის იმ მოქალაქეებმა, რომლებიც საქართველოში მუშაობის, სწავლის ან ოჯახთან შეერთების მიზნით ჩამოვლენ, განცხადებით უნდა მიმართონ თავიანთ ქვეყნებში არსებულ საქართველოს საელჩოებს, რათა საემიგრაციო ვიზა მიიღონ. განცხადებაშივე მიუთითებენ ვიზის მიღების კონკრეტულ მიზანს და მხოლოდ ასე მიიღებენ საქართველოში ცხოვრების ნებართვას. გრძელვადიანი, საემიგრაციო ვიზის ხანგრძლიობა იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა ვადით აპირებს უცხოეთის მოქალაქე საქართველოში სწავლას ან მუშაობას.

ცვლილებები შეეხო ვიზის გაცემის პროცედურებსაც: ვიზის აღების მსურველთათვის სპეციალური ელექტრონული აპლიკაცია შემუშავდა, რომელიც ინტერნეტში განთავსდება, ვიზის გაცემის უფლება კი მთლიანად საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს ენიჭებათ. პირველი სექტემბრიდან, სასაზღვრო-გამშვები პუნქტები ვიზის გაცემას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეძლებენ.

„ვერსიის“ შეკითხვაზე, ხომ არ უკავშირდება ახალი რეგულაციები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებას, გიორგი ტაბატაძემ უპასუხა:

„ეს ცვლილებები ასოცირებასთან დაკავშირებული არაა. ეს ჩვენი ხელმძღვანელობის ზოგადი მიდგომაა, რომ მიგრაციული პროცესები მოწესრიგდეს და დარეგულირდეს. მიგრაცია დინამიური მოვლენაა და მსოფლიოს ყველა ქვეყანაზე როგორც სოციალურ და კულტურულ, ასევე ეკონომიკურ და პოლიტიკურ გავლენას ახდენს. მიგრაციული პროცესების დადებითი შედეგების მიღების მიზნით, მივიღეთ გადაწყვეტილება, მიგრაციის პოლიტიკა შეცვლილიყო. მეორე მხრივ, ევროკავშირთან სავიზო დიალოგი უკვე დაწყებულია, თუმცა იმისთვის, რომ ეს პროცესი წარმატებით დასრულდეს, ჩვენი კანონმდებლობა ევროკავშირში მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს, ამიტომ დღეიდანვე ვდგამთ ამ ტიპის ნაბიჯებს, რადგან როცა საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო რეჟიმი ამოქმედდება, მერე არ მოგვიწიოს ამ სისტემის დაახლოება“.

ახალი რეგულაციებითვე, თუ უცხოეთის მოქალაქეს საქართველოს ვიზაზე უარს ეტყვიან, საქართველოს საელჩოსა და საკონსულოს თანამშრომლებს მოუწევთ უარის დასაბუთება, რათა უცხოეთის მოქალაქემ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს. იმ შემთხვევაში, თუკი უცხოეთის მოქალაქეს უარის გასაჩივრების სურვილი არ ექნება, ვიზის მისაღებად საკონსულოში საბუთებს კიდევ ერთხელ შეიტანს. გიორგი ტაბატაძის განცხადებით, ვიზის გაცემაზე უარის მიზეზის დასაბუთება ევროკავშირის სავიზო პოლიტიკაა, რომელიც საქართველოშიც ამოქმედდება.

საკონსულო დეპარტამენტის დირექტორის განმარტებით, საქართველოს უვიზო რეჟიმი აქვს დსთ-სა და ევროპის ყველა ქვეყანასთან, ნატო-ს წევრ ქვეყნებსა და საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებთან.

მიხეილ სააკაშვილი პროკურატურაშია დაბარებული

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საქართველოს მთავარ პროკურატურაში, საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად დაიბარეს. სააკაშვილი პროკურატურაში ორშაბათს, 28 ივლისს, 11.00 საათზე უნდა გამოცხადდეს.

„ინტერპრესნიუსი“



შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის პირველი მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1980 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი იური ს. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 5,895 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 1,15542 გრ ჰეროინს შეიცავს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). გამოძიებას შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

პოლიციის აკადემიაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების საკითხებზე სემინარი ჩატარდა

შსს-ს აკადემიაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახალხო დამცველის აპარატს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, აკადემიის მსმენელებისთვის ჩატარდა ერთდღიანი სემინარი თემაზე: „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები“. ღონისძიება შსს-ს აკადემიის რექტორმა ნუკრი გელაშვილმა გახსნა.

სემინარს უძღვებოდნენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრის უფროსი ნათია ფირაშვილი და გაერო-ს იურისტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებში ირინა ობოლაძე.

სემინარზე განიხილეს საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის საკითხი საქართველოს საკანონმდებლო აქტების მიხედვით, აგრეთვე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის კონვენციის მიხედვით.

ღონისძიების დასასრულს აღნიშნულ თემებზე პრაქტიკული მეცადინეობა ჩატარდა და დისკუსია გაიმართა.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

სექტემბრიდან საკომიტეტო მოსმენები თბილისის პარლამენტის შენობაში გაიმართება

სექტემბრიდან თბილისში, პარლამენტის შენობაში სრულფასოვანი საკომიტეტო მუშაობა იქნება შესაძლებელი. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა განაცხადა, საკანონმდებლო ორგანოში უნდა იყოს ყოველკვირეული მუშაობა.

„სექტემბრიდან თბილისში, პარლამენტის შენობაში, შევძლებთ სრულფასოვან მუშაობას საკომიტეტო მუშაობის კუთხით. ყოველ კვირას უნდა გვქონდეს იქ მნიშვნელოვანი სამუშაო ღონისძიებები, ყოველკვარტლურად უნდა მოვისმინოთ ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, რადგან ვართ დაინტერესებული სწორად და კარგად საქმის წაყვანაში და პასუხისმგებლობაც და შრომაც უნდა გავიზიაროთ. დავაღწიოთ თავი იმ ხასიათს, რომ ან ძმობის რეჟიმში ვართ ერთად, ან მტრობის რეჟიმში. უმრავლესობა და მთავრობა არც ძმობის რეჟიმში უნდა იყოს ერთმანეთთან და არც მტრობის. ჩვენ უნდა ვიყოთ პარტნიორობის და მუშაობის რეჟიმში, ამიტომ ვართ ორად გაყოფილი ერთი პოლიტიკური გუნდი, რომელიც ორ სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, ისე, როგორც პროკურორიც საჭიროა და მოსამართლეც. მოსამართლე იმიტომ არ არის საჭირო, რომ პროკურორს არ ვენდობით, მაგრამ საჭიროა იმისთვის, ვინმემ სხვა კუთხით გააგრძელოს ეს საკითხი“, — აღნიშნა უსუფაშვილმა.

„ამით მხოლოდ დავეხმარებით ჩვენს მინისტრებს, რომელსაც დარწმუნებული ვარ, ნდობას გამოვუცხადებთ.

დღეიდან ჩვენი სამუშაო იარაღები არის ეს სამი დოკუმენტი, კონსტიტუციიდან გამომდინარე უფლებამოსილების და კომპეტენციის ფარგლებში, თქვენს მიერ ჩვენამდე მოტანილი პროგრამის შესასრულებლად და ევროპასთან ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, გთავაზობთ, ერთად ვიმუშაოთ მუხლჩაუხრელად, ჩვენ ძალიან დიდი საქმეები გვაქვს გასაკეთებლი. რათა დავეწიოთ იმ ევროპას, რომლის წევრობაც გვინდა“, — აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

„ინტერპრესნიუსი“

2 აგვისტოს, საპატრიარქოში მიღება გაიმართება

შაბათს, 2 აგვისტოს, მართლმადიდებელი ეკლესია წმ. ილია წინასწარმეტყველის დღესასწაულს აღნიშნავს. როგორც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას ბრძანა, ამ დღესთან დაკავშირებით, პარასკევს საღამოს იქნება ლოცვა, ხოლო შაბათს საზეიმო წირვა აღევლინება.

გარდა ამისა, შაბათს, საღამოს საპატრიარქოში მიღება გაიმართება.

„იტერპრესნიუსი“

„მეგობარი მეუბნება, ეროსი კიწმარიშვილის საქმე აშშ-ს გაკეთებულიაო...“

რომელ მინისტრებს გუღშემატკივრობს ღევან ბერძენიშვილი

ერუსუდან შელია
557-100-768

წლევანდელი ზაფხული პოლიტიკურად მართლაც ცხელი გამოდგა — პრემიერმა 7 მინისტრი გამოცვალა, „რუსთავი 2“-ის დამფუძნებელი და ყოფილი დიპლომატი ეროსი კიწმარიშვილი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა და ამ საქმის ირგვლივ გაჩენილი უამრავი კითხვა ჯერჯერობით ისევ პასუხგაუცემელია... ამ და სხვა საკითხებზე „ვერსიას“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, რესპუბლიკელი ღევან ბერძენიშვილი ესაუბრა.

— მინისტრების შეცვლა კოალიციის კურსის ფუნდამენტური ცვლილება კი არა, შეცდომების გამოსწორების მცდელობაა. ისე, ორი პიროვნების გარდა, ახლადდანიშნული მინისტრებიდან არავის ვიცნობ.

— მთავრობას ნდობა ისე გამოუცხადეთ, ახალ მინისტრებს არც იცნობთ. ნაციონალური მოძრაობის პარლამენტს, როგორც მახსოვს, მსგავსი ბრმა დამოკიდებულების გამო აკრიტიკებდით...

— ყველა ქვეყანაში საკითხი ასე დგას: პრემიერ-მინისტრსა თუ პრეზიდენტს ან ენდობი, ან არა. საქართველო პატარა ქვეყანაა, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ასე არ მოხდა, თუმცა ეს არაფერს ნიშნავს, საკმარისი დრო გვაქვს, ეს ადამიანები რომ გავიცნოთ. პარლამენტარებს იმდენი კვალიფიკაცია გვაქვს, ერთი შეხვედრით დაგვედგინა, მინისტრებისთვის ნდობა უნდა გამოგვეცხადებინა თუ არა...

— ბევრს გაუკვირდა, რომ 800-მილიონიანი გარღვევის ავტორმა ფინანსთა მინისტრმა თანამდებობა შეინარჩუნა...

— ეს საკითხი პარლამენტს არ ეხება. მინისტრები პრემიერის ხელთაა. ის აგებს პასუხს ქვეყანაზე!

— პოლიტიკური გუნდი კი პასუხისმგებლობას იხსნის?

— პოლიტიკური გუნდი პასუხს არჩევნებში აგებს — თუ მინისტრები არასწორად შეირჩა, როგორც წესი, ამას არჩევნებში დამარცხება მოსდევს. მე რომ გითხრათ, ვინ, სად და რა თანამდებობაზე უნდა დაინიშნოს, არასწორი იქნება. აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტისგან დამოუკიდებელი სტრუქტურაა... ზოგადად, საქართველოში შეგიძლიათ, ნებისმიერი მინისტრი მოხსნათ — ერთ უწყებაშიც არ გვაქვს ისე საქმე, რომ ვთქვათ, ავყვავდით და ავშენდითო, თუმცა გაუმჯობესება ბევრი მიმართულებითაა. ჯერჯერობით, ისეთი ეკონომიკური ზრდა რა თქმა უნდა, როგორიც გაგვიხარდებოდა, არ გვაქვს, მაგრამ იმ ადამიანების არ მესმის, რომ ამბობენ, ეკონომიკა დაინგრაო — რაც არ არის, როგორ უნდა დაინგრეს? ქართულ ეკონომიკას მსოფლიო კრიზისმაც ვერაფერი უქნა, რადგან საკრიზისო ქვეყანაში არაფერი ყოფილა. რა მდგომარეობაშიცაა ეკონომიკა, ზუსტად იმავე მდგომარეობაშია განათლება და კულტურაც. საქმე ყველგან გამოსასწორებელია, ახალი თუ წინა ხელისუფლების, შევარდნაძის მთავრობისა თუ კომუნისტების ლაპარაკის მიუხედავად, განათლების სისტემაში კვლავ პრობლემებია — განათლებული ადამიანების რიცხვი ქვეყანაში, ზრდის ნაცვლად, მცირდება.

— ბატონო ღევან, გატყობთ, განათლების მინისტრის საქმიანობით კმაყოფილი არ ხართ.

— სხვათა შორის, სანიკიძის გათავისუფლების მოლოდინიც იყო.

— იგივე მოლოდინი თქვენც გქონდათ?

— ეს ჩემი სფერო არ არის, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში ვარ. როგორც მოქალაქე კი, ჩემს აზრს არ გეტყვით. ჩემი მიმართულების მინისტრები მოსახსნელები არ იყვნენ და გამიხარდა, თანამდებობაზე რომ დარჩნენ. სხვათა შორის, იუსტიციის მინისტრსაც ვგულშემატკივრობდი. ნორმალური ადამიანები არიან და მადლობა ღმერთს, პოსტებზე დარჩნენ. შვიდი მინისტრის მოხსნის შემდეგ, შესაძლოა, ეს პროცესი გაგრძელდეს და ორი-სამი შეცვალოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კურსს ვცვლით.

— კიდევ ვის ემუქრება მინისტრის პორტფელის დატოვება? ბოლო ცვლილებებიდან ჩანს, რომ კოალიციაში შემავალი პოლიტიკური პარტიების ლიდერები მინისტრთა კაბინეტში ხელშეუხებელნი არიან...

— როგორც გითხარით, ეს ჩემი საუბრის სფერო არ არის. ჯერჯერობით, „ქართული ოცნების“ გარდა, კოალიციაში შემავალი სხვა პარტიების ლიდერები თუ წარმომადგენლები მთავრობიდან არ გაუთავისუფლებიათ. კოალიციის დაშლაც იოლი არ არის, თანაც ეს ჯერჯერობით არავის ინტერესში შედის.

— მთავრობაში ცვლილებებს ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალება უსწრებდა. ეს ფაქტი ქართულ პოლიტიკაში რას შეცვლის?

— ეროსი კიწმარიშვილი მედიაში უნიჭიერესი ადამიანი იყო — ჰქონდა უნარი, ჩვეულებრივი ადამიანები პროფესიონალ ჟურნალისტებად ექცია. რაც შეეხება პოლიტიკას, არ მგონია, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა ყოფილიყო. მისი შემოქმედების მწვერვალი „რუსთავი 2“-ია, რომელიც ვერც „მაესტროში“ და ვერც სხვაგან ვეღარ გაიმეორა. ქართული პარტიაც მეათეხარისხოვანი პოლიტიკური ძალა იყო.

— „ვარდების რევოლუციაში“ ეროსი კიწმარიშვილი პოლიტიკური ფიგურა არ ყოფილა? ისე, ალბათ, შემთხვევითი არაა, რომ ზურაბ ჟვანია, ბადრი პატარკაციშვილი და ეროსი კიწმარიშვილი უცნაურად გარდაიცვალნენ...

— რევოლუციური ხუთეულიდან, რომელიც კულისებში იყო, პოლიტიკაში ერთიც არ დარჩა. არავინ უარყოფს „ვარდების რევოლუციაში“ ეროსი კიწმარიშვილის დამსახურებას, მაგრამ თავად ეროსის ამ კუთხით გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდა. კი ბატონო, ტელევიზიის როლი დიდი იყო, მაგრამ რევოლუციაში სხვა ფაქტორებიც მნიშვნელოვანი გახლდათ — მიხეილ სააკაშვილი და ხალხი, თუმცა „ვარდების რევოლუციის“ ეპოქაც დასრულდა.

— რას გულისხმობთ კიწმარიშვილის გადაჭარბებულ წარმოდგენებში, ვინმესგან რევოლუციაში მონაწილეობისთვის თანხას ითხოვდა?

— ეროსი მიიჩნევდა, რომ „ვარდების რევოლუცია“ მან მოაწყო პირადად მე კი, ვფიქრობ, ეს პროცესია, რომელიც სხვადასხვა კომპონენტებისგან შედგება. ეროსისნაირი ადამიანები თავის როლს ყოველთვის გაზვიადებულად ხედავენ. „ვარდების რევოლუციის“ სახელწოდება, დასავლეთიდან მომავალი მანქანების გრძელი კოლონის კადრი, მიხეილ სააკაშვილი ვარდით ხელში — ყველაფერი ეს ეროსიმ შექმნა. იგი „რეჟისორ-პასტანოვშიკი“ იყო, თუმცა, თუ მოქმედება არ ხდება და პიესა არ არის, რეჟისორი მთავარ ფიგურად ვერ ჩაითვლება. დაპირისპირების დეტალები არ ვიცი, მაგრამ სააკაშვილს ხელისუფლებას კონტროლირებადი ტელევიზია მოუნდა. ეროსი კიწმარიშვილმა ტელევიზია გაყიდა, მაგრამ რა პირობებით, არ ვიცი.

— კიწმარიშვილი აცხადებდა, რომ „რუსთავი 2“ წაართვეს და თანხაც არ აუღია.

— ეროსის ფული მისცეს, მაგრამ შესაძლოა, მის მიერ მოთხოვნილთან შედარებით, არაადეკვატური მცირე თანხა შესთავაზეს. ეროსი კიწმარიშვილს კი არა, ტელევიზია ქიბარ ხალვაშს წაართვეს. ეროსი აშშ-ში წავიდა და თავს კარგად გრძნობდა, ფინანსურად არასოდეს გასჭირვებია და ისეთი ადამიანი იყო, ფინანსურ პრობლემას არც შეიქმნიდა.

— კიწმარიშვილის მემუარებიდან ჩანს, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ბიძინა ივანიშვილი 20 მილიონ ლარს დაპირდა, ეს თანხა კი მერაბიშვილმა აიღო. ამ ვერსიას იზიარებთ?

— არ ვიცი, არ მახსოვს... ამ საქმით არასოდეს ვინტერესდებოდი. მართალია, ეროსის გამარჯობა-ნახვამდის დონეზე არ ვიცნობდი, წლების განმავლობაში, ერთმანეთთან შეხება გვქონდა, მაგრამ „რუსთავი 2“-ზე დეტალური ინფორმაცია არ მაქვს. დარწმუნებული ვარ, ეროსი კიწმარიშვილის საქმე გამოუძიებელი არ დარჩება. ვინც მას იცნობს, ყველა ამბობს, რომ თავს ვერ მოიკლავდა... თვითმკვლელობის ვერსიის დაჯერება მეც მიჭირს, მაგრამ, თუ გამოძიება იტყვის, თავი მოიკლაო, ამის წარმოდგენა შემიძლია, თუმცა შესაბამისი და დამაჯერებელი მტკიცებულებებიც უნდა ვიხილოთ... იმდენი ვერსია გავრცელდა, მართლა ვერ ვხვდები, რა მოხდა. არ დაგვავიწყდეს, საქართველო ის ქვეყანაა, ეროსი კიწმარიშვილი კი არა, ქუჩაში გალაკტიონ ტაბიძე სცემეს. თუ მოტივებზე ვისაუბრებთ, ამ ქვეყანაში 20 ათასის გულისთვისაც შეუძლიათ ადამიანის მოკვლა და ხუთი ლარისთვისაც.

— არ ფიქრობთ, რომ გიორგი სანაიას, ზურაბ ჟვანიას, ნუგზარ საჯაიასა და ეროსი კიწმარიშვილის საქმეები ერთმანეთს ჰგავს? საეჭვო გარემოებების პარალელურად, ყველა მათგანში ყოფითი პრობლემა დასახელდა...

— როცა ადამიანი კვდება, ეს ტრაგედია და კატასტროფაა, მით უმეტეს, თუ საუბარია ისეთი ტიპის ადამიანზე, როგორიც ეროსი კიწმარიშვილი იყო. მასში სიცოცხლე ჩქეფდა. სანაიას საქმე გახსნილად ითვლება, თუმცა ყოველთვის დარჩება კითხვები. ჟვანიას საქმე გახსნილი არ არის, იგი პრემიერი იყო და გამოძიებაც საკითხს დიდი სიფრთხილით უდგება. დარწმუნებული ვარ, ეროსი კიწმარიშვილის საქმის გახსნის შემდეგაც, ყველა კმაყოფილი ვერ იქნება და გამოძიების შედეგებს არ დაეთანხმება, მაგრამ ეს ბუნებრივია. გიორგი სანაია იმის გამო არ მოუკლავთ, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი იყო. დაახლოებით ვიცით, რა მოხდა, საშინელი საქმე იყო, მაგრამ მას სერიოზულ რანგში ვერ ავიყვან და ვერ ვიტყვი, რომ სანაიას მკვლელობაზე ორი ქვეყნის სპეცსამსახურებმა იმუშავეს.

— გიორგი სანაიას მკვლელობამ მთელ საქართველოში არსებული უკმაყოფილების მობილიზება შეძლო. დღეს კი, მისი ძმა აცხადებს, რომ კიწმარიშვილმა ამ მკვლელობის საიდუმლო იმქვეყნად წაიღო.

— გეთანხმებით, ხალხზე, მათ შორის, ჩემზეც იმოქმედა. გიორგის ახლოს ვიცნობდი, მაგრამ ამ თემაზე ვერ ვისაუბრებ — ჩემი კვალიფიკაცია ვერ სწვდება. მყავს მეგობარი, რომელმაც ყველაფერი იცის. ახლაც მეუბნება, ეროსი კიწმარიშვილის საქმე აშშ-ს გაკეთებულიაო, მაგრამ..

— ამ ვერსიას გამორიცხავთ?

— თუ ეს შეკვეთილი მკვლელობაა, ამ დონის „ქილერი“ საქართველოს არ ჰყავს ანუ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის წარმომადგენელი ჩამოვიდა, ეროსი კიწმარიშვილს ისე დაუმეგობრდა, მანქანაში ჩაუჯდა და მოკლა. თეორიებით ბევრი რამ შეიძლება ითქვას, მაგრამ სპეცსამსახურს იმიტომ ჰქვია სპეცსამსახური, რომ მისი ხელი საქმეში, როგორც წესი, არ ჩანს. ვფიქრობ, გამოძიებას უნდა დაველოდოთ.

ვერსიანიუსი

დავით უსუფაშვილი: „პუტინი მტერია!“

„პუტინი მტერია! პუტინი მტერია! პუტინი მტერია!“ — ასე დაიწყო პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლა, დეპუტატებს სამი დოკუმენტი წარუდგინა და აღნიშნა, რომ ამ დოკუმენტების გეგმის საფუძველზე უნდა გაგრძელდეს ქვეყნის მართვა:

„მინდა, ცოტა სხვა თემაზე ვისაუბრო, თან წამოვიღე სამი დოკუმენტი, კონსტიტუცია, მთავრობის პროგრამა — „ძლიერი, დემოკრატიული ერთიანი საქართველოსთვის“ და ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც დღეს მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია, რომ შევჯერდეთ ამ სამი ძირითადი დოკუმენტის გეგმის საფუძველზე, როგორ გავაგრძელოთ ქვეყნის მართვა. დაახლოებით ორ წელიწადში ისევ დავდგებით ამომრჩევლის წინაშე, როგორ ვუპატაკოთ ქართველ ხალხს, რომ წინ წავიყვანეთ ქვეყანა და შევასრულოთ ის, რაც ამ დოკუმენტებში წერია. ესაა მნიშვნელოვანი და ძირითადი“.

„ინტერპრესნიუსი“

პარლამენტმა მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა

საკანონმდებლო ორგანომ მინისტრთა ახალი კაბინეტისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს კენჭი პარასკევს, 25 ივლისს, პლენარულ სხდომაზე უყარა. მთავრობას ნდობა 89 დეპუტატმა გამოუცხადა. ირაკლი ღარიბაშვილის მინისტრთა კაბინეტს მხარი არ დაუჭირა ნაციონალურმა მოძრაობამ.

შეგახსენებთ: საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მინისტრთა კაბინეტში საკადრო ცვლილებების შესახებ 21 ივლისს განაცხადა. ცვლილება 7 სამინისტროს შეეხო, საიდანაც ხუთი მთავრობის შემადგენლობას საერთოდ დაემშვიდობა, 2-მა კი უწყება შეიცვალა. კერძოდ, სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია გახდა, სასჯელაღსრულების მინისტრი — გიორგი მღებრიშვილი, კულტურის მინისტრი — მიხეილ გიორგაძე, ინფრასტრუქტურის მინისტრი — დავით შავლიაშვილი, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი — გელა დუმბაძე. რაც შეეხება ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, მას სოზარ სუბარი უხელმძღვანელებს, რომელიც სასჯელაღსრულების სამინისტროდან სწორედ აღნიშნულ უწყებაში გადავიდა. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლებული ელგუჯა ხოკრიშვილი კი გარემოს დაცვის მინისტრი გახდა. მთავრობის დანარჩენმა წევრებმა კი თანამდებობები შეინარჩუნეს.

„ინტერპრესნიუსი“

ეშინია თუ არა სააკაშვილს დაჭერის

რუსუდან შელია
557-100-768

28 ივლისს, დღის პირველ ნახევარში, გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაკითხვაზე მეორედ დაბარებული ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საპრეზიდენტო ბიბლიოთეკიდან, skype-თ პროკურატურის განცხადებაზე მცირე კომენტარს გააკეთებდა და ჟურნალისტთა კითხვებსაც უპასუხებდა, თუმცა მედიის წარმომადგენლებს შენობაში ზაზა ბიბილაშვილი დაგვხვდა, რომელმაც განაცხადა, რომ სააკაშვილი პუტინისა და ოლიგარქის ერთობლივ თამაშში მონაწილეობას არ აპირებს, საქართველოს თავისუფლებისთვის კი ბოლომდე იბრძოლებს. როგორ წარმოუდგენია ქვეყნიდან ათასობით კილომეტრის დაშორებით მყოფ მიხეილ სააკაშვილს საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლა და რატომ არ ჩამოდის სამშობლოში? — „ვერსიის“ კითხვებს საპარლამენტო უმცირესობის წევრი ბიბი წერეთელი პასუხობს.

გიგი წერეთელი: „ქვეყანაში რეპრესიები მძვინვარებს“

— მიხეილ სააკაშვილის პროკურატურაში დაბარება ხელისუფლების პოლიტიკაზე კიდევ ერთხელ მიუთითებს. ექსპრეზიდენტი პირველად დაკითხვაზე მაშინ დაიბარეს, როცა მსოფლიოს წამყვან არხებზე, უკრაინასთან ერთად, საქართველოში არსებულ რუსულ საფრთხეებზე საუბრობდა. როგორც ჩანს, ახლაც ახალი ტალღის მომსწრენი ვართ. არადა, იმის ნაცვლად, სააკაშვილის საერთაშორისო ავტორიტეტი უკრაინასთან სოლიდარობისა და დასავლური კურსის მეტი წარმატებით წარმოებისთვის გამოიყენონ, მას პროკურატურაში იბარებენ. ეს გზავნილია იმ ადამიანებისთვისაა, ვისაც მიაჩნიათ, რომ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა მიწასთან უნდა გაასწორონ. იმას ვერ ხვდებიან, ასეთი ქმედებებით, პირველ რიგში, ქვეყანას აზარალებენ.

— ამ მხრივ გამონაკლისი საქართველო არ არის, ექსპრეზიდენტების მიმართ კითხვები სხვა ევროპულ სახელმწიფოებშიც უჩნდებათ, მაგრამ ისინი, როგორც წესი, გამოძიებასთან თანამშრომლობენ. რატომ არ ჩამოდის დაკითხვაზე მიხეილ სააკაშვილი?

— რომელ თანამშრომლობაზეა საუბარი, როცა ქვეყანაში რეპრესიები მძვინვარებს. ასეთ ვითარებაში, სააკაშვილის პოზიცია აბსოლუტურად გამართლებულია — პოლიტიკურ თამაშში მონაწილეობას არ მიიღებს.

— ესე იგი, სააკაშვილს დაჭერის ეშინია და საქართველოში ჩამოსვლაზე უარს ამიტომ ამბობს?

— საერთოდ, ყველანაირი საშიშროება რეალურია. არ არის გამორიცხული, ძალოვნებს მიხეილ სააკაშვილის დაკავება დაავალეს. სააკაშვილი ამას გრძნობს თუ არა, მან უნდა ისაუბროს, მაგრამ, როცა ეს საშიშროება სხვებმა იგრძნეს, ახდა კიდეც.

— ეს „სხვები“ ანუ გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი, ბაჩო ახალაია ციხეში არიან. გამოდის, სააკაშვილმა თანაგუნდელები გაწირა?

— სწორედ იმის გამო, რომ დღემდე გაუგებარია ვანო მერაბიშვილის საქმე, ბაჩო ახალაიას 9-ჯერ წაუყენეს ბრალი და გიგი უგულავა არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე დააკავეს, სააკაშვილი ამ თამაშში მონაწილეობას არ მიიღებს. ეს პროცესი მუდმივად ვერ გაგრძელდება, აუცილებლად დასრულდება, რადგან ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს.

— მთავრობის სხდომაზე ნაციონალური მოძრაობა სამუზეუმო ექსპონატად მოიხსენიეს. ხელისუფლებას თქვენ დაასრულებთ?

— უმრავლესობის წარმომადგენლები ცდილობენ, მთავრობის პირველ პირებს საკუთარი გამოსვლით თავი მოაწონონ. ასეთ ადამიანებს შევახსენებ, რომ

წლების წინ მათზე გაცილებით პოპულარულები ვიყავით, მაგრამ დღეს ოპოზიციაში ვართ, ამიტომ ქედმაღლობა — ძალაუფლება ჩვენ გვაქვს და თქვენი ხმა სამარიდან ისმისო — აუცილებლად დასრულდება, თან ცუდად. მათი დამოკიდებულება შემდეგი ხელისუფლებისთვის სახელმძღვანელო იქნება, რომ წინამორბედს სწორედ ასე უნდა ესაუბრო და ასე მოექცე. არავის უნდა მისცე საშუალება, შურისძიებაზე იფიქროს.

— ანუ ნაციონალური მოძრაობა შურისძიებით იმუქრება?

— ვამბობ, რომ ეს არ უნდა მოხდეს... ფაქტია, უამრავ ადამიანს დაუმსახურებლად და მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით დევნიან. ასეთი ადამიანი, რა თქმა უნდა, ყოველთვის იფიქრებს შურისძიებაზე ისევე, როგორც დღეს ხელისუფლებაში მყოფი პირები ფიქრობენ, რომ მათზე, ვინც წარსულში აწყენინა, შური უნდა იძიონ. მმართველი გუნდის ამოცანა ასეთი დამოკიდებულების შესუსტება უნდა იყოს, მით უმეტეს, პირველი ოქტომბრის არჩევნებში ხელისუფლება დემოკრატიულად შეიცვალა და გვაქვს შანსი, ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიოთ. საქართველომ ევროპული სტანდარტით ცხოვრება უნდა ისწავლოს, რაც ტრადიციების უგულებელყოფას სულაც არ ნიშნავს — მშვიდად ცხოვრებას უნდა შევეჩვიოთ.

— მშვიდად ცხოვრება პოლიტიკოსებისთვის ინდულგენციის მინიჭება ხომ არაა?

— ინდულგენციაზე არ ვსაუბრობ, მაგრამ ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებამ მასობრივი სახე მიიღო და ეს უნდა დასრულდეს. გაუმართლებელია, როცა ხელისუფლების პირველი პირები მოქალაქეებს ოპოზიციის მიმართ აგრესიისკენ მოუწოდებენ. ისიც მოვისმინეთ, რომ კოჰაბიტაცია საძულველი სიტყვაა, არადა, თანაცხოვრებასა და დაპირისპირებულ მხარეებს შორის გარკვეულ დონეზე ურთიერთობას ნიშნავს, რაც კოალიციამ ვერ შეძლო.

— საპარლამენტო უმცირესობა თუ აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტს? პარლამენტის ის სხდომა, სადაც მთავრობას ნდობას უცხადებდნენ, კენჭისყრამდე რატომ დატოვეთ?

— ნაციონალურ მოძრაობას მთავრობისთვის ბოიკოტი არ გამოუცხადებია — მთელი დღის განმავლობაში დარბაზში ვისხედით და სხდომაში აქტიურად ვმონაწილეობდით, თუმცა თავიდანვე ცხადი იყო, რომ მინისტრთა კაბინეტს ნდობას ვერ გამოვუცხადებდით. ჩვეულებრივი ამბავია: ოპოზიცია, როგორც წესი, მთავრობას მხარს არ უჭერს. მოსახლეობამ ოპოზიციონერად აგვირჩია და ჩვენი უპირველესი მოვალეობა მთავრობის კრიტიკაა.

— კენჭისყრაში მონაწილეობა მხოლოდ იმ მოტივით არ მიიღეთ, რომ პარლამენტში ოპოზიციის სტატუსით ხართ, სხვა მხრივ, მინისტრების მუშაობას დადებითად აფასებთ?

— არგუმენტიც გვაქვს — ეფექტური მთავრობა არ გვყავს. საპარლამენტო განხილვებზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სერიოზული ეკონომიკური სირთულეების წინაშე ვდგავართ. სხვა სფეროებშიც უამრავი გადაუჭრელი პრობლემა დაგროვდა, ამიტომ ასეთი მთავრობის მხარდაჭერა ჩვენი მხრიდან არაადეკვატური იქნებოდა. ხელისუფლებას კი, საპარლამენტო ოპოზიციის კრიტიკის საპასუხოდ არგუმენტები არ აქვს. მარტივ გამოსავალს მიაგნეს, დემაგოგები ხართო, მაგრამ ასეთი მიდგომით პასუხისმგებლობას ვერ გაექცევიან. ქვეყნის განვითარების ნაცვლად, კოალიციის მთავარ ამოცანად ოპოზიციის დასუსტება იქცა. ორი წელია, მხოლოდ იმაზე საუბრობენ, რომ 9 წლის განმავლობაში, თურმე, ქვეყანა ინგრეოდა და მძიმე მემკვიდრეობა მიიღეს. იმას ვერ ხვდებიან, რომ დღეს საქართველოს ძლიერი და გამოცდილი ოპოზიცია სჭირდება, რაც, პირველ რიგში, მთავრობისთვისაა კარგი. განვლილ პერიოდს რომ ვაანალიზებ, ვხვდები, ნაციონალური მოძრაობის ყველაზე დიდი შეცდომა სუსტი ოპოზიციით თვითკმაყოფილება იყო. შეცდომებიც სწორედ ამიტომ დავუშვით. ოპოზიციასთან შედარებით, ხელისუფლებას ყოველთვის მეტი კომპრომისი მოეთხოვება. სხვათა შორის, საპარლამენტო განხილვებზე გამოჩნდა, რომ „ქართული ოცნება“ სწორედ ამ პასუხისმგებლობის აცილებას ცდილობს — თურმე, საწვავის გაიაფებას, 0%-იან კრედიტებს, იპოთეკარების პრობლემის გადაჭრას, სამუშაო ადგილების გაზრდას არ შეგვპირებიან, მაგრამ რასაც შეგვპირდნენ, თურმე ყველაფერი გადაჭარბებით შეასრულეს. სამწუხაროა, რომ უმრავლესობა იდეებზე კი არ პაექრობს, უმცირესობის წარმომადგენლებს ებრძვის. ამას საკუთარი უმოქმედობის გადასაფარადაც აკეთებს და ცდილობს, ახალი დაკავებებითა და დეტექტივების შეთხზვით ხალხის ყურადღება სხვა მიმართულებით გადაიტანოს. ხელისუფლების პრინციპულობა არც საგარეო მიმართულებით იკვეთება. შესაძლოა, რუსეთთან სიფრთხილის გამოჩენა სცადო, მაგრამ უპრინციპობა გაუმართლებელია.

— ამის შესახებ პარლამენტის სხდომაზეც ისაუბრეთ და პრემიერმა მთავრობის ოფიციალური განცხადებები შეგახსენათ.

— მხოლოდ თვითმფრინავის ჩამოგდებაზე განცხადების გაკეთება არაფერს ნიშნავს, არაადეკვატურია მით უმეტეს მაშინ, როცა მთელი მსოფლიო საუბრობს, რომ თვითმფრინავის ჩამოგდებაში რუსეთი მონაწილეობდა. ამ დროს, რუსეთი ყოველ მეორე თვეს, საქართველოს ტერიტორიაზე საოკუპაციო ხაზს აფართოებს. ხელისუფლება კი, არაფერზე რეაგირებს, რუსეთი არ გავაღიზიანოო. ასეთი მიდგომით შედეგამდე ვერ მივალთ.

— ნაციონალური მოძრაობის მმართველობის გამოცდილებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველო იმ მდგომარეობაშია, რომ რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებაზე წავიდეს?

— უკრაინის მოვლენებმა დაგვარწმუნა, რომ 2008 წელს ომი საქართველოს არ დაუწყია. კიდევ კარგი, ამ აზრამდე საქართველოს ხელისუფლებაც მივიდა. არადა, გვახსოვს, ჩვენივე კოლეგები ბრალს ომის დაწყებაში რომ გვდებდნენ. ახლა ბევრი რამ საერთაშორისო პროცესებზეა დამოკიდებული. უკრაინელი ხალხის ევროპული მომავლისთვის ბრძოლას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ევროპასთან საქართველოს ინტეგრაციის პროცესი დაჩქარდა. საერთაშორისო შეხვედრებზე ხშირად ვამბობ, ხელისუფლება იმ ოპოზიციის განადგურებას არ უნდა ცდილობდეს, რომელიც ევროპის ინტეგრაციის გზაზე მისი მოკავშირეა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გზა პრორუსულად განწყობილ პარტიებს ეხსნება. მარტივია: თუ შენ ასუსტებ პროდასავლურ ძალას, აძლიერებ პრორუსულ პარტიებს. არ ვიცი, ესაა თუ არა ხელისუფლების მიზანი, მაგრამ ჯერჯერობით, ამ რეალობაში ვცხოვრობთ. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

ვერსიანიუსი

ილია მეორე: „არ უნდა შევეჩვიოთ, რომ ჩვენი მთავარი საზრუნავი მატერიალური დოვლათი იყოს!“

პატრიარქის თქმით, მატერიალური დოვლათი საჭიროა, მაგრამ უმთავრესი სულიერი დოვლათი და სულიერი სიწმინდეა. ილია მეორის განცხადებით, უცხო ქვეყნებში არის მეტი მატერიალური სიდიადე და სიუხვე, მაგრამ ის, რაც კვებავს ადამიანის სულიერ სამყაროს, არსადაა იმდენი, რაც საქართველოშია.

„ძალიან მომენატრა სამშობლო და ძალიან მომენატრეთ თქვენ. სამი კვირა არ გვინახავს ერთმანეთი. ადამიანმა თავისი სამშობლო და ახლობლები რომ დააფასოს, ალბათ უცხოეთში უნდა წავიდეს. იქ იხილავს სამშობლოს სიდიადეს, სიწმინდეს. ასე დავინახე მეც. ასე დიდხანს – სამი კვირა არასდროს ვყოფილვარ უცხოეთში. მინდა გითხრათ, რომ საქართველო მართლა განსაკუთრებული ქვეყანაა. მართლა ღვთისმშობლის წილხვედრია, მართლა გამოიყოფა თავისი სიწმინდით, სიდიადით. როცა ვუყურებთ და შედარებას ვაკეთებთ სამშობლოსა და უცხო ქვეყანას შორის, ვხედავთ, რომ შეიძლება უცხოეთში მეტი მატერიალური სიდიადეა, მეტი სიუხვეა, მაგრამ ის, რაც მთავარია, რაც კვებავს სულს, გონებას და სულიერ სამყაროს, არსად არის იმდენი, რაც არის საქართველოში. ეს მეტყველებს იმის შესახებ, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია. ვხედავთ, რამდენად განსხვავდება საქართველო. იქ, ჩვენთან ბევრი ქართველი ახალგაზრდა მოვიდა. გვქონდა შეხვედრები. ერთ საღამოს 500-მდე ახალგაზრდა მოვიდა. გვქონდა მათთან საუბარი. ისინიც გრძნობენ ამ განსხვავებას, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ყველაფერმა შეჩვევა იცის – სიკეთემაც და ბოროტებამაც. ამიტომ არ უნდა შევეჩვიოთ ბოროტებას, არ უნდა შევეჩვიოთ იმას, რომ ჩვენი მთავარი საზრუნავი იყოს მატერიალური დოვლათი. მატერიალური დოვლათი საჭიროა, მაგრამ მატერიალურ დოვლათზე მეტი არის სულიერი დოვლათი, სულიერი სიწმინდე და ამას უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენ“, — მიმართა სამების საკათედრო ტაძარში შეკრებილ მრევლს ილია მეორემ.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველოში ვაჟა ფშაველას სახელობის პრემია დაწესდება

როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჩარგალში, ვაჟაობის დღესასწაულზე განაცხადა, პრემიის დაწესებაზე სამთავრობო კომისია იმსჯელებს:

„შარშან, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გააჟღერა ინიციატივა ვაჟა ფშაველას სახელობის პრემიის დაწესებასთან დაკავშირებით. სამთავრობო კომისია, რომელიც შეიქმნება უახლოეს დღეებში, ამ საკითხზე იმსჯელებს და მიიღებს გადაწყვეტილებას. ცოტაა მსოფლიოში ჩვენისთანა პატარა, მაგრამ ძალიან ძლიერი ერი, რომლის წარმომადგენლების შედევრები ღირსეულად ამშვენებს მსოფლიო ლიტერატურულ საგანძურს“.

პრემიერ-მინისტრი იმედოვნებს, რომ ვაჟაობას მომავალი თაობებიც აღნიშნავენ.

„ინტერპრესნიუსი“

რატომ გაიყინა ჟვანიას საქმე



დაპატიმრებული ექსპერტი ლევან ჩაჩუა სიკვდილის პირასაა — რას ამბობენ პროკურატურის კულუარებში, დაუშვებენ თუ არა ჟურნალისტებს და რა მოხდება 20 აგვისტოს წინასასამართლო სხდომაზე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ახალი მოწმე, ახალი დეტალები და გარემოებები, ახალი ეჭვმიტანილები და ძველი შედეგი — გარდაცვლილი პრემიერის, ზურაბ ჟვანიას საქმე კვლავ გაუხსნელია! ამასობაში, საქართველოში მსოფლიო დონის პროკურორები ჩამოდიან, რომლებიც, როგორც ჩანს, საქართველოს პროკურატურას მასტერკლასს ჩაუტარებენ და გამოცდილებას გაუზიარებენ. ერთნი ამბობენ, ეს ხალხი ბადაშვილის უწყებას სააკაშვილის დასაჭერად სჭირდებაო, მეორენი კი ფიქრობენ, რომ დასავლეთელი სამართალდამცავები კიწმარიშვილის, ჟვანიას, სანაიასა და სხვა გახმაურებულ მკვლელობებს გამოიძიებენ. როგორც „ვერსიას“ მთავარ პროკურატურაში განუცხადეს, ექსპერტთა ჯგუფი ჩვენს პროკურორებს ზოგად რჩევებს მისცემს და შესაძლოა, ჟვანიას საქმის პროკურორსაც შეხვდეს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ქართველი პროკურორი მათგან დირექტივებს მიიღებს. ასეა თუ ისე, ჟვანიას საქმის ხელახალი გამოძიების დაწყებიდან წელიწადზე მეტი გავიდა, თუმცა ბოლო სიახლე, რაც პროკურატურამ გვამცნო, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, ჟვანიას მკვლელობის ახალ მოწმეზე გასვლა იყო. ცოტა ხნის შემდეგ, კერძოდ, 2014 წლის მარტში დაიკავეს სამედიცინო ექსპერტი ლევან ჩაჩუა და ექსპრემიერის დაცვის თანამშრომელი მიხეილ ძაძამია. ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსს, კობა ხარშილაძეს კი შპს „გრინსერვისის“ საქმის გამო, პატიმრობაში თავი პირდაპირ სასამართლო დარბაზიდან უკრეს.

ამის მერე 5 თვე ისე გავიდა, არც სასამართლო გამართულა, არც პროკურატურას დაუყენებია ახალი შუამდგომლობა და ვინმეს არც იმ ნაციონალთა გვარები უხსენებია, ვის მიმართაც კითხვები წლებია არსებობს. სამაგიეროდ, ციხეში რჩება ექსპერტი, რომელმაც ჟვანიას გვამს პირველადი გამოკვლევა ჩაუტარა და მის ორგანიზმში მომწამლავი ნივთიერება — CO აღმოაჩინა; ციხეში რჩება ხარშილაძეც, რომლის გვარსაც ჟვანიას საქმესთან არავინ ახსენებს და მიხეილ ძაძამიაც. „ვერსია“ ამ ადამიანების ბედით დაინტერესდა და სხვადასხვა ოფიციალური თუ არაოფიციალური წრიდან საინტერესო დეტალებიც შეიტყო.

> **„ვერსიის“ დაზუსტებული ინფორმაციით, ჟვანიას საქმეზე წინასასამართლო სხდომა 20 აგვისტოს ჩატარდება, რომელსაც, დიდი ალბათობით, მედიისთვის დახურავენ. ამ სხდომაზე მოსამართლე შორენა გუნცაძე ექსპერტ ჩაჩუასთვის წინასწარი პატიმრობის შეცვლაზე იმსჯელებს, თუმცა დაკავებულს დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეს — პროკურატურას ციხიდან მისი გამოშვება არ აწყობს!**

ჟვანიას საქმეზე დაპატიმრებული პირების ისტორია მოკლედ რომ გავიხსენოთ, ასეთ სურათს მივიღებთ: ლევან ჩაჩუას, რომელმაც ზურაბ ჟვანიას გვამის ე.წ. ექსპერტიზის დასკვნა დაწერა, საგამოძიებო ორგანოები სამსახურეობრივ გულგრილობას ედავებიან და, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, 2-წლიან სასჯელს ვერ ასცდება. თავის დროზე სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ფოტოებზე, სადაც ჟვანია-უსუპოვის ცხედრებს მრავლობითი დაზიანებები ეტყობათ, ექსპერტმა განაცხადა, რომ ფოტომასალა გაყალბებულია, რადგან გაკვეთის დროს ჟვანიას ცხედარს დაზიანებები არ ჰქონია.

„ჩემზე არ ყოფილა ზეწოლა. გვამი გავკვეთე და ვნახე, რომ ერთი წერტილიც არ ჰქონია დაზიანებული. მისი მეუღლეც იქ იყო — ჯერ კიდევ თბილ გვამს ეფერებოდა და ტიროდა. შეიძლება, ამდენმა ადამიანმა ნახოს გვამი და ნატყვიარი გამოეპაროს? რაც შეეხება კეფაზე ჭრილობას, გამოკვლევის შემდეგ მხოლოდ კეფაზე კი არა, გულმკერდზეც კეთდება კვეთა. 30 წელი ვიმუშავე პრაქტიკულ ექსპერტიზაში და saeqshumacio ჩემი გამოკვლეული ერთი გვამიც არ გამხდარა. ვიცი, ნახევარ საქართველოს სასაცილოდ არ ჰყოფნის ექსპრემიერის CO-თი მოწამვლა, არადა, ფაქტია, ასე მოხდა“, — განაცხადა მაშინ ლევან ჩაჩუამ. ჟვანიას დაცვის ცვლის უფროსი, მიხეილ ძაძამიაც სამსახურეობრივი გულგრილობის ბრალდებით დააკავეს, რასაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა. ყველაზე დიდი აჟიოტაჟი კი დაცვის წევრის, კობა ხარშილაძის დაჭერამ გამოიწვია, პირველ რიგში იმიტომ, რომ ჟვანიას საქმისგან სრულიად განყენებული ბრალი წაუყენეს და ყოფილ გამგებელს, ლაშა ფურცხვანიძესთან ერთად, უკანონო სამეწარმეო საქმიანობას ედავებიან. გარდა ამისა, ფურცხვანიძისგან განსხვავებით, სააპელაციო სასამართლო ხარშილაძეს 400 000-ლარიანი გირაოს გადახდაზე არ დათანხმდა და პირდაპირ დარბაზში აიყვანა. სხვათა შორის, ისიც ითქვა, რომ მას უცხოეთის რეისზე ბილეთი ჰქონდა დაჯავშნილი და ქვეყნიდან გაქცევას აპირებდა. ხარშილაძის დაკავების ეს მოტივი თეთრი ძაფითაა ნაკერიო, ამტკიცებდა ადვოკატი გოგიტა გაბაიძე. „ოცნების“ ერთ-ერთ სახეს, ეკა ბესელიას კი პირდაპირ ეთერში წამოსცდა: **„ეს ადამიანი (კობა ხარშილაძე), რომელიც ჟვანიას საქმეზე უმნიშვნელოვანესი მოწმეა, დაკავებულია... მიმდინარეობს გამოძიება და მოსამართლეს კონკრეტული საფუძვლები წარუდგინეს“...**

ხარშილაძის ადვოკატი, გოგიტა გაბაიძე დღესაც ირწმუნება, რომ კობა ხარშილაძე ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით, არც დაკავებამდე და არც შემდეგ, არ დაუკითხავთ. მაშინ, რატომ მიაჩნია „ოცნების“ ხელისუფლებას მთავარ მოწმედ ხარშილაძე და რატომაა წინასწარ პატიმრობაში სულ სხვა საქმის გამო? ამ შეკითხვებზე „ვერსიამ“ პასუხის მიღება ადვოკატ გოგიტა გაბაიძისგან სცადა, თუმცა მან საუბარზე უარი განგვიცხადა. როგორც გავარკვიეთ, სასამართლომ ადვოკატებს ხელწერილი დააწერინა, რომ მედიასთან ხმას არ ამოიღებენ. ისე, რატომაა გამორიცხული, რომ კობა ხარშილაძეს ჟვანიას საქმეზე ბრალი არ წაუყენონ, არც ოფიციალურადა დაკითხონ და გამოძიებასთან „ფარულად“ ითანამშრომლოს?! ეს ვერსია, თუ ეკა ბესელიას ზემოხსენებულ განცხადებასაც გავიხსენებთ, ლოგიკასმოკლებული სულაც არ არის.

„ვერსიამ“ ჟვაიას საქმესთან პირდაპირ თუ ირიბად კავშირის გამო დაკავებულთა ბედი, პირველ რიგში, პროკურატურაში იკითხა. პრესსამსახურმა გამოძიების დეტალებსა და დაკავებულ ადამიანებთან დაკავშირებით შეკითხვა მთავარ პროკურორს გადაუგზავნა და ასეთი პასუხი მივიღეთ: **„ექსპერტ ლევან ჩაჩუას წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული. საქმე სასამართლოში განსახილველად ჯერ არ წარმართულა, რადგან გამოძიება გრძელდება. არც ჩვენ მიგვიმართავს სასამართლოსთვის რაიმე ახალი შუამდგომლობით. შესაბამისად, სასამართლო პროცესის თარიღი ჯერ ცნობილი არ არის. საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება და მათი დასრულებისთანავე, პროკურატურა სასამართლოს მიმართავს“.**

მოკლედ, კობა ხარშილაძის თაობაზე, ადვოკატისა არ იყოს, საუბარი არც პროკურატურას სურს. დეტალების გახმაურებისგან თავს მოკლული პრემიერის ძმა, „ოცნების“ დეპუტატი გოგლა ჟვანიაც იკავებს.

„მიმდინარეობს გამოძიება და უფრო დეტალურად პროკურატურას უნდა მიმართოთ. ყველა შეკითხვა, რასაც მისვამთ, გამოძიების კომპეტენციაა, მას მიმართეთ და, თუ საჭიროდ ჩათვლის, გიპასუხებთ. მე კმაყოფილი ვარ და ველი, ეს საქმე მალე გაიხსნება“, — განუცხადა „ვერსიას“ გოგლა ჟვანიამ, რომლსაც არ აუხსნია, რატომ აქვს მოლოდინი. სხვათა შორის, „ვერსიისთვის“ ცნობილი გახდა, რომ დაკავების ზემოხსენებული სერიის შემდეგ, გოგლა ჟვანია აღარ დაუკითხავთ.

„ვერსია“ ექსპერტ ლევან ჩაჩუას ადვოკატ **ზურაბ ტაბიძესაც** დაუკავშირდა: **„უკვე 4 თვეა, ლევან ჩაჩუა წინასწარ პატიმრობაშია. წინასასამართლო სხდომაზე, იურიდიულ სფეროში არსებულ ყველა შუამდგომლობას დავაყენებ. სხვა საკითხია, რას იზამს სასამართლო. ლევან ჩაჩუა უსამართლოდ და უსაფუძვლოდ რომაა დაკავებული, ფაქტია. მისი უფლებები დარღვეულია ევროკავშირისა და ევროსასამართლოს არაერთი მუხლის მიხედვით. ისიც ფაქტია, რომ ხელი მოვაწერეთ და საქმის მასალების გასაჯაროების უფლება არ გვაქვს. საქმეს დასაჭერად ვერ გავიხდი. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ლევან ჩაჩუა თავს დამნაშავედ არ სცნობს და დუმილის უფლებას იყენებს. ჩათვალეთ, მეც მუნჯი ვარ, რადგან ერთი ფაქტისა და გარემოების გასაჯაროება არ შემიძლია. ამის უფლება რომ მქონდეს, მის უდანაშაულობას მსოფლიოს ვამცნობდი“.**

საექსპერტო წრეებიდან და თავად საგამოძიებო ორგანოს კულუარებიდან „ვერსიისთვის“ ცნობილი ხდება, რომ ჟვანიას საქმეში პროკურატურას ხელჩასაჭიდი არაფერი აქვს, მათ შორის, არც ის მტკიცებულებები, რომელიც ლევან ჩაჩუას წინააღმდეგ გამოადგება. როგორც ვერსიამ გაარკვია,

> **20 აგვისტოს, 12 საათზე ჩანიშნული წინასასამართლო სხდომის შემდეგ, მოსამართლე შორენა გუნცაძე ვალდებულია, სასამართლოს სხდომა 15 დღის ვადაში დანიშნოს, თუმცა ჩვენი ინფორმაციით, პროკურატურა კიდევ ერთ შუამდგომლობას დააყენებს და საქმის არსებით განხილვას ისევ რამდენიმე თვით გადადებს. კანონით, პროკურატურას სხდომის გაწელვა 9 თვის განმავლობაში შეუძლია. 9-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ კი, ბრალის ვერდამტკიცების შემთხვევაში, ლევან ჩაჩუა ავტომატურად უნდა გათავისუფლდეს. მოსამართლე ჩაჩუას თავიდანვე უკანონოდ მოექცა და პროკურატურის მოთხოვნა დააკმაყოფილა, წინასწარი პატიმრობის 2-თვიანი ვადით გაგრძელების შესახებ. თუმცა ბოლოს, ყურადღება ადვოკატის საჩივარსაც მიაქცია და ჩაჩუას, ორის ნაცვლად, ერთი თვე შეუფარდა. სანდო წყაროს ცნობით, პროკურატურას, ამ ხნის განმავლობაში, ახალი და ხელშასაჭიდი მტკიცებულებები არ აქვს და დიდი ალბათობით, 20 აგვისტოს ახალ შუამდგომლობას ჩაჩუასთვის წინასწარი პატიმრობის გაგრძელების მოთხოვნითაც დააყენებს.**

პროკურატურის ხელთარსებული 9-თვიანი ვადა ოქტომბერში იწურება. სამწუხაროა, რომ ლევან ჩაჩუას პროსტატის კიბო აქვს, გულზე ოპერაციაც აქვს გადატანილი და მეტასტაზები მთელ ორგანიზმშია მოდებული. როგორც წესი, ასეთ დროს, ყველა ქვეყნის ყველა მოსამართლე დაცვის მხარის შუამდგომლობას აკმაყოფილებს და მძიმე ავადმყოფებს რამდენიმეთვიან წინასწარ პატიმრობას არ უსჯის.

ვერსიანიუსი

ირაკლი ღარიბაშვილი: „1 სექტემბრიდან ქვეყანა ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპზე გადადის“

„2014 წლის 1 სექტემბრიდან ქვეყანა ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპზე გადადის — ჩვენ ვიწყებთ ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას“, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა და დასძინა, რომ ამ ვალდებულებების შესრულება საქართველოს მთავრობის საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია:

„ასოცირების შეთანხმების განხორციელება ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების მთელ სპექტრს შეეხება. შესაბამისად, ფართომასშტაბიანი რეფორმები მოემსახურება ადამიანის უფლებების დაცვის განმტკიცებას, დემოკრატიის გაღრმავებას, მეტ გამჭვირვალობას, ეფექტიან მმართველობას, უსაფრთხოებისა და რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცებას, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოსა და ხელსაყრელი ბიზნესკლიმატის ჩამოყალიბების უზრუნველყოფას. უნდა აღვნიშნო, რომ ეს შეთანხმება სრულ თანხვედრაშია მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხედვასთან. ეს რეფორმები, საბოლოოდ, უზრუნველყოფს ქვეყანაში ევროპული ტიპის დემოკრატიის ჩამოყალიბებას. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებიდან გამომდინარე, იგეგმება ადგილობრივი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება“.

„ინტერპრესნიუსი“

ანაკლიისა და განმუხურის მოსახლეობა „კაზანტიპისგან“ უდიდეს ეკონომიკურ სარგებელს ელის

რაფომ იხდის ექსცენტრული გიორგი სიგუა ბოდიშს და როგორ მოემზადა საქართველო წლევანდელი ტურისტული სეზონისთვის

მაია მიშელაძე
593-51-90-12

პარასკევს, 25 ივლისს, აჭარის შავიზღვისპირეთში უპრეცედენტო ზომის საკრუიზო ხომალდი „რივიერა“ შემოვიდა. მსგავსი სიდიდის ხომალდს რეგიონი პირველად მასპინძლობს. „რივიერა“ 2012 წელს ააგეს და რუმინეთიდან საქართველოში მხოლოდ ერთი დღით შემოვიდა, აჭარის შემდეგ კი გეზი სტამბოლის მიმართულებით აიღო. ხომალდზე 1 250 ტურისტი და ეკიპაჟის 600-მდე წევრი იმყოფებოდა, რომლებსაც სხვადასხვა საექსკურსიო პროგრამით, ადგილობრივი ტურისტული კომპანია მოემსახურა. ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ საკრუიზო ტურიზმის სტატისტიკის მიმართულებით, საქართველოში დადებითი ტენდენცია შეინიშნება. 2012 წელს, რეგიონს 10-მდე საკრუიზო ხომალდი სტუმრობდა, 2013 წელს ეს რიცხვი 16-მდე გაიზარდა. წელს კი 28 საკრუიზო გემის შემოსვლაა დაგეგმილი. როგორ დაიწყო 2014 წლის ტურისტული სეზონი და რა რაოდენობის ტურისტი ეწვევა საქართველოს? ამ და სხვა კითხვებით „ვერსია“ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას დაუკავშირდა, სადაც გვითხრეს, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი სიგუა და მისი მოადგილეები სამეგრელოში იმყოფებიან. ამიტომ შეკითხვების გადაგზავნა გვთხოვეს და პასუხები ტურიზმის ადმინისტრაციის რამდენიმე დეპარტამენტის თანამშრომელმა, სფეროების მიხედვით მოგვიმზადა.

— როგორ მოემზადა საქართველო 2014 წლის ტურისტული სეზონისთვის?

— ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ წლევანდელი სეზონი საქართველოს რეგიონებში მნიშვნელოვანი ღონისძიებებით გახსნა. სპორტული შეჯიბრები გავმართეთ ბორჯომსა და შაორში, ქუთაისში „ყვავილების ფესტივალით“ აღვნიშნეთ, თბილისში, ლისის ტბაზე კი გრანდიოზული დასკვნითი ღონისძიება ჩატარდა. საერთოდ, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სტრუქტურა გაორმაგდა და უფრო დიდი გეგმები გვაქვს, ვიდრე აქამდე გვქონდა. თითქმის ყველა ტურისტულ გამოფენაზე მივდივართ, რაც კი საერთაშორისო მასშტაბით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში იმართება, სადაც საქართველოს, როგორც ტურისტულად მიმზიდველ ქვეყანას წარმოვადგენთ. სამეგრელოს რეგიონში — ჩხოროწყუში, ზუგდიდსა და მარტვილში სამი საინფორმაციო ცენტრი გავხსენით, თვეში ერთხელ, შაბათობით, საქართველოს ერთ, რომელიმე რაიონს ვასუფთავებთ. პროექტის „დაასუფთავე საქართველო“ ფარგლებში, წინა თვეში, მცხეთა, მიმდინარე თვეში კი საგურამო დავასუფთავეთ. 2 აგვისტოს — გუდაურში, 9 აგვისტოს ბაკურიანში ველოტურს გავმართავთ. მცხეთაში, მდინარე მტკვარზე მოვაწყვეთ ჯომარდობა. 12-16 აგვისტოს, სამეგრელოში, ტობავარჩხილას ტბაზე, 100-კაციან მოლაშქრეთა ტურს გავმართავთ.

— ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელები სამეგრელოში გარკვეულ სამუშაოებს ატარებენ, კონკრეტულად, რას საქმიანობენ გიორგი სიგუა და მისი მოადგილეები?

— ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ სამეგრელოში არაერთი აქტივობა განახორციელა. ახალი ტურისტული პროდუქტი შევქმენით და ამ ეტაპზე, სათავგადასავლო ტურიზმის ერთ-ერთი სახეობის, „კანიონინგის“ მარშრუტებთან დაკავშირებული სამუშაოები დავასრულეთ. პროექტის ფარგლებში, ხობისწყლის შენაკადები შევისწავლეთ, შესაბამისი მარშრუტები შევიმუშავეთ და ადგილობრივი მოსახლეობა დავატრენინგეთ. როგორც უკვე გითხარით, სამეგრელოში სამი ახალი საინფორმაციო-ტურისტული ცენტრი გავხსენით და ესეც ამ პროექტის ფარგლებში განვახორციელეთ. სამეგრელო საქართველოს ერთ-ერთი ტურისტული რეგიონია და მას სისტემატურად ვუწევთ პოპულარიზაციას საერთაშორისო ბაზარზე, როგორც ტურისტული გამოფენა-ბაზრობების, ასევე, საქართველოში მოწყობილი გაცნობითი და პრესტურების საშუალებით. წლის განმავლობაში, შიდატურიზმის პოპულარიზაციის მიზნით, სხვადასხვა სახის სპორტულ-კულტურულ ღონისძიებასაც ჩავატარებთ.

— სეზონის წინ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ საქართველოს რეკლამები შეამცირა და მხოლოდ 5 ქვეყანაში დატოვა. რეკლამები რომელ ქვეყნებში დატოვეთ?

— 2014 წლის სამოქმედო გეგმით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მარკეტინგულ კამპანიებსა და აქტივობებს ახორციელებს, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე მის საზღვრებსგარეთაც. ამ ეტაპზე, მარკეტინგული კამპანიები ხორციელდება აზერბაიჯანში, უკრაინაში, გერმანიაში, ავსტრიაში, ნიდერლანდებსა და პოლონეთში. აგვისტოდან ამ ტიპის კამპანიებს უნგრეთსა და ბელორუსშიც დავიწყებთ. საქართველო აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებზეც. 2014 წლის მარკეტინგული გეგმის მიხედვით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ცნობადობის ამაღლების მიზნით, 20 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობას ეწვევა.

— უკრაინისა და კონკრეტულად, ყირიმის კრიზისის გამო, საქართველოში უკრაინელი ტურისტების რაოდენობის ზრდას ვარაუდობდნენ. დღევანდელი მონაცემებით, ეს პროგნოზი გამართლდა?

— 2014 წლის ექვსი თვის მონაცემებით, უკრაინიდან 61 814 ტურისტი ჩამოვიდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 25%-ით მეტია. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, რომელიც „კაზანტიპის“ ფესტივალის შემდეგ, კიდევ უფრო გაიზრდება... ეს საბოლოო მონაცემები არ არის და ტურისტული სეზონის დასრულების შემდეგ, უფრო სრული ინფორმაცია გვექნება.

— მართალია, სტატისტიკური მონაცემები ჯერ არ დაზუსტებულა, მაგრამ დღევანდელი ინფორმაციით, სულ რამდენი ვიზიტორი შემოვიდა?

— ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ტურისტრების რაოდენობის გამოთვლისას, ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობს. იმისთვის, რომ ვიზიტორი ტურისტად ჩაითვალოს, აუცილებელი პირობა ღამისთევაა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, ექვსი თვის განმავლობაში, 24 საათისა და მეტი დროით, საქართველოში 864 193 ტურისტი იმყოფებოდა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 8%-ით მეტია.

— ტურისტების მომსახურების სფეროში რომ მოვიკოჭლებთ, ამას რამდენიმე დღის წინ, ბახმაროს რაიონში „ჯეოსელის“ ანძის გათიშვაც ადასტურებს, რის გამოც მაღაზიები დაიკეტა და ტურისტები გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. საქართველოში, რომელიც ტურისტული თვალსაზრისით მრავალფეროვანი და საინტერესო ქვეყანაა, მომსახურების დონე სტანდარტებს შეესაბამება?

— სამწუხაროდ, საქართველოში მომსახურების ჯერ კიდევ დაბალი დონეა და ამ დონის ამაღლების მიზნით, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებს. მომსახურების სფეროში დასაქმებულ ადამიანებს ტრენინგებს ვუტარებთ. ამ ეტაპზე, ინგლისური ენისა და პროფესიული ეთიკის ტრენინგი თბილისელ ტაქსის მძღოლებს უკვე ჩავუტარეთ. ამ პროექტს საკმაოდ დიდი ინტერესი მოჰყვა და ამიტომ სექტემბრიდან კიდევ ერთ ეტაპს ჩავატარებთ. გარდა ამისა, ადმინისტრაცია ტრენინგების ორგანიზებას მთელი ქვეყნის მასშტაბით გეგმავს, რომლის ფარგლებშიც, სეზონურობის გათვალისწინებით, განთავსების საშუალებებსა და კვების ობიექტებში დასაქმებულ პირებს გადავატრენინგებთ.

— განსაკუთრებული მოთხოვნა საქართველოს რომელ კურორტებზეა?

— 2013 წლის კვლევის თანახმად, ყველაზე ხშირად მონახულებადი ადგილები იყო: თბილისი, სადაც ტურისტების 46% იმყოფებოდა, ბათუმი — 41%, მარნეული — 8%, ყაზბეგი — 8%, რუსთავი — 6%, ქობულეთი — 6%.

— „კაზანტიპის“ ფესტივალზე აზრთა სხვადასხვაობაა, მოწინააღმდეგეები აქციების გამართვითაც იმუქრებიან. ფესტივალისთვის როგორ ემზადებით?

— „კაზანტიპთან“ დაკავშირებით, ზღვისპირა კურორტზე — ანაკლიასა და განმუხურში სცენის მონტაჟი, კაფე-ბარებისა და ბუნგალოების მშენებლობა 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს. მოსამზადებელ სამუშაოებში ადგილობრივი მოსახლეობაც აქტიურად ჩაერთო. როგორც ანაკლიელები აცხადებენ, „კაზანტიპის“ პროექტისგან უდიდეს ეკონომიკურ სარგებელს ელიან. ადგილობრივები უკმაყოფილოები არიან იმ განცხადებებით, რაც „კაზანტიპის“ ფესტივალის მოწინააღმდეგეებმა გააკეთეს. ანაკლიელები ამბობენ, რომ „კაზანტიპის“ ჩაშლის უფლებას არავის მისცემენ. სხვათა შორის, „კაზანტიპთან“ დაკავშირებით, ანაკლიაში ყველა სასტუმრო უკვე დაჯავშნილია. ანაკლიისა და განმუხურის გარდა, ახლომდებარე სოფლების — დარჩელისა და კახათის მოსახლეობაც სახლებს აქირავებს. საოჯახო ტიპის სასტუმროებში, ერთი ოთახის ფასი 15-დან 80 ლარამდე მერყეობს.

P.S. **ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ექსცენტრულობით გამოირჩევა. ყოველ შემთხვევაში, ამას წინათ, სამეგრელოში, გიორგი სიგუამ ადგილობრივ ქალბატონს პიკანტური კითხვა დაუსვა — პლაჟზე სექსი გქონიათ თუ არაო, რის გამოც ბოდიში ეკონომიკის მინისტრმა მოიხადა. ორი დღის წინ, გიორგი სიგუა საზოგადოების წინაშე უჩვეულო აღიარებით წარსდგა და ოჯახის წევრებს, ზემოხსენებულ მეგრელ ქალბატონს, ეკონომიკის მინისტრსა და ყველას „ვისთვისაც ოდესმე უწყენინებია“, საჯაროდ ბოდიში მოუხადა...**

„პირად საუბარში მამულაიშვილმა მითხრა, ნაციონალებმა მომთხოვეს, ბანკიდან 14 მილიონი გამოიტანეო“

ბათუმური სკანდალის ახალი დეტალები — დავა მინის ნაკვეთსა და საცხოვრებელ კორპუსზე

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ბათუმის ცენტრში, 600 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთზე, შპს „ოქტან-მედიას“ მიერ აშენებული 6-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის შავი კარკასი იპოთეკითაა დატვირთული. თავდაპირველად, მიწის ნაკვეთის მფლობელი ბათუმელი გურამ ნინუა იყო, მაგრამ იმის გამო, რომ წლები ავსტრალიაში ცხოვრობდა, ამხანაგობა „ედიფისი“ შექმნა, რომლის დამფუძნებლად თავისი პარტნიორი, ნანული კაცაძე გააფორმა. „ედიფისის“ აქციების 85%-ს ნანული კაცაძე, 15%-ს კი გურამ ნინუა ფლობენ. ნანული კაცაძემ კუთვნილი აქციები მეუღლეს, სოსო მამულაიშვილს გადაუფორმა, რომელიც სამშენებლო კომპანია „ოქტან-მედიას“ მფლობელია. საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო სამუშაოებს სწორედ სოსო მამულაიშვილის კუთვნილი კომპანია „ოქტან-მედია“ ასრულებდა.



ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს, ქ-ნ ეკატერინე ჯინჭველაშვილს
მხარე: ბასარული მოპასუხეობით

სარჩელი
სამოქალაქო საქმეზე

2010 წლის 10 სექტემბრს სს "საქართველოს ბანკ"- სა და სოსო მამულაიშვილს შორის გაფორმდა №521540-ვ ხელშეკრულება სოლიდარული თავდებობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, განმცხადებელმა იკისრა ვალდებულება სს „საქართველოს ბანკ"- თან შეთანხმებული პირობებით, ბანკის სასარგებლოდ თავდებად დაუდგეს მოვალეს ბანკის მოთხოვნების სრულად და ჯეროვნად უზრუნველსაყოფად თანახმად ბანკსა და განმცხადებელს შორის გაფორმებული თავდებობის ხელშეკრულებისა, თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხაა 14,000,000 (ოთხმეტი მილიონი) აშშ დოლარი ან ექვივალენტი სხვა ვალუტაში ბანკში დადგენილი კომერციული კურსით;

წელიწადნახევრის წინ, „ვერსიაში“ ვწერდით, როგორ გადაუფორმა ნანული კაცაძემ აქციების 85% მეუღლეს, სოსო მამულაიშვილს, რომელმაც საცხოვრებელი კორპუსის ასაშენებლად, ერთ-ერთი ბანკიდან 6 796 000 ლარის კრედიტი აიღო. იმის გამო, რომ კრედიტი დროულად ვერ დაფარა, დავალიანება დაგროვდა და 14 000 000 აშშ დოლარს მიაღწია. არადა, გურამ ნინუამ განაცხადა, რომ 600 კვ/მ მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება მხოლოდ 700 000 ლარი იყო. ამ ფონზე, საკითხავია, როგორ მოახერხა მამულაიშვილმა ბანკიდან 6 000 000 ლარზე მეტი კრედიტის აღება? ბანკში დაგროვილი დავალიანების გამო, სასამართლო პროცესი სოსო მამულაიშვილსა და იმ ბანკს შორის გაიმართა, საიდანაც სამშენებლო კომპანიის მფლობელმა კრედიტი აიღო. მოსამართლის გადაწყვეტილებით, საცხოვრებელ კორპუსს ყადაღა დაედო და ბანკს საკუთრებაში გადაეცა. გურამ ნინუას კი განუცხადეს, ვალი დაეფარა და კორპუსის კუთვნილი 15%-იანი წილი გამოესყიდა.

ათიოდე დღის წინ, **გურამ ნინუა** კვლავ დაგვიკავშირდა და რამდენიმე ახალი დეტალი გაგვაცნო. კერძოდ, სასამართლოს მიერ ერთი წლის წინ მიღებული გადაწყვეტილება ნინუამ უკვე გაასაჩივრა. ამასთან, განცხადებით პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას, საქართველოს მთავარ პროკურატურასა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურსაც მიმართა:

— საქმე აღვძარით. გვაინტერესებდა, სად წაიღო 14 000 000 აშშ დოლარი სოსო მამულაიშვილმა და რას მოახმარა. არცთუ დიდი ხანია შევიტყვეთ, რომ საცხოვრებელი კორპუსის შავი კარკასი, რომელიც 600 კვ/მეტრზეა აშენებული, არავის ეკუთვნის. ამ კორპუსში ჩვენი წილი 15%-ია. საჯარო რეესტრიდან ოფიციალური პასუხი მივიღეთ, რომ შენობა რეგისტრირებული არაა. სოსო მამულაიშვილის სამშენებლო კომპანია „ოქტან-მედიამ“ კორპუსი ააშენა. გავარკვიეთ, რომ ბანკიდან 6 000 000 ლარზე მეტი კი არა, 14 000 000 აშშ დოლარის კრედიტი გამოუტანია. არავინ იცის, სად გაქრა ეს თანხა. პირად საუბარში მამულაიშვილმა მითხრა, ეს ფული თვალით არ მინახავს, ნაციონალურმა მოძრაობამ ჩამომართვაო. ისიც დაამატა, არაფერში მჭირდებოდა 14 მილიონი, ნაციონალებმა მომთხოვეს, ამდენი გამომეტანაო.

დასასრული მე-7 გვერდზე

მხედრიონელის მიერ მოკლული პოლიციელის ოჯახი 20 წელია კვების კომპენსაციას ითხოვს

ირუსუდან შელია
557-100-768

1994 წლის 28 თებერვალს, თბილისში, ელიავას ბაზრობაზე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, დიდუბის რაიონის პოლიციის სისხლის სამართლის სამძებროს რიგითი თეიმურაზ მურმანის ძე ჩუბინიძე მხედრიონელის ტყვიამ იმსხვერპლა. თეიმურაზ ჩუბინიძეს დარჩა მეუღლე, მირანდა ამყოლაძე და ორი მცირეწლოვანი შვილი. მართალია, 1995 წლის თებერვლიდან დაღუპულის ოჯახს პენსია სამ სულზე დაენიშნა და წინა წლების თანხა და ხელფასი, რომელიც პოლიციელ ჩუბინიძეს ასაღები ჰქონდა, ოჯახმა მიიღო, მაგრამ გარდაცვლილის სიმამრი

ბონდო ამყოლაძე **დღემდე სახელმწიფოსგან კუთვნილ თანხას, კერძოდ, კვების საფასურს ითხოვს:**

რა პრეტენზიები აქვს შს ყოფილ მინისტრ კახა თარგამაძესთან და რაფომ ჩაიქნია სამართლის პოვნაზე ხელი მოკლული პოლიციელის სიმამრმა



„სიძის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, შსს-ს მივმართე, რათა კანონით კუთვნილი კომპენსაცია მიმეღო. ამ ერთი წლის განმავლობაში, შსს-ს საპენსიო განყოფილებაში ჩემი სიძის გარდაცვალება თურმე დაფიქსირებულიც არ ყოფილა. შსს-მ ათი წლის ხელფასი მომცა, მაგრამ კვების ფულზე უარი ორჯერ მითხრა. ერთ-ერთ წერილში კი საფუძვლად 1992 წლის №373 ბრძანება მოიყვანა. არადა, ეს ბრძანება უკვე გაუქმებული იყო, ვინაიდან 1993 წელს პოლიციის შესახებ კანონი ამოქმედდა“, — აცხადებს ამყოლაძე.

მივყვეთ მოვლენებს: ბონდო ამყოლაძემ, სიძის დაღუპვის გამო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ხელფასი, კომპენსაცია და კვების ფულის მიღება მოითხოვა. დაზარალებულის ოჯახს საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის კანონის შესაბამისად, 1995 წლის თებერვლიდან ერთდროული კომპენსაცია 10 წლის ძირითადი ხელფასის ოდენობით გადაეცა. კომპენსაცია 12 მილიონ კუპონს შეადგენდა. როგორც შემდგომ ბონდო ამყოლაძისთვის გახდა ცნობილი, 1995 წლის იანვარში, პოლიციის მუშაკებს ხელფასი გაეზარდათ, რაც თვეში 25 მილიონ კუპონს შეადგენდა. როგორც ბონდო ამყოლაძე ამბობს, 1995 წელს შსს-ს განცხადებით მიმართა, რომ მისთვის, თებერვლის ჩათვლით, მომატებული ხელფასი უნდა მიეცა, რაც ჯამში, 5 მილიარდ 730 მილიონ კუპონს შეადგენდა. როგორც ბონდო ამყოლაძე განმარტავს, გარდაცვლილის ოჯახის მოთხოვნა შს მაშინდელმა მინისტრმა, კახა თარგამაძემ არ დააკმაყოფილა: **„აღნიშნული თანხის მისაღებად შსს-ს განმეორებით მივმართე, მაგრამ ამჯერადაც უარი მივიღე. პასუხში ნათქვამი იყო, რომ შსს-ს 1992 წლის 6 აგვისტოს მიღებული №373 ბრძანების შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული პოლიციის თანამშრომლის ოჯახს უნაზღაურდება ერთდროული დახმარება 10 წლის ხელფასის ოდენობით, ოფიცრებს ძირითადი ხელფასი და წოდების მიხედვით, რიგითს კი — ძირითადი ხელფასი. ამ ბრძანებით სხვა დანამატები მოიხსნა. აღნიშნული ბრძანება 1992 წლის 17 ივნისის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მიიღო, მაგრამ საქართველოს პარლამენტმა 1993 წლის 27 ივლისს კანონმდებლობა დაამტკიცა, რომლითაც სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 17 ივნისის დეკრეტი ძალადაკარგულად ჩაითვალა“.** ამდენად, ბონდო ამყოლაძის მოთხოვნას სამინისტროს ხელმძღვანელობამ ორი წლის წინ გაუქმებული სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით უთხრა უარი. მოგვიანებით, გარდაცვლილი პოლიციელის სიმამრმა, შსს-დან მიღებული ორივე უარყოფითი პასუხი, საკუთარი განცხადებით, პარლამენტში გაგზავნა, პარლამენტმა კი, მისი განხილვა მინისტრთა კაბინეტს დაავალა. შედეგმაც არ დააყოვნა — შინაგან საქმეთა სამინისტრო მიხვდა, რომ ძალადაკარგული კანონით ხელმძღვანელობდა და ბონდო ამყოლაძეს სიძის დაკრძალვის ხარჯი აუნაზღაურა, თუმცა ოჯახის მიერ მოთხოვნილი კვების საფასურის კომპენსაცია ისევ ღიად დარჩა. ბონდო ამყოლაძე შსს-თან რომ ვერაფერს გახდა, სასამართლოს მიმართა. კრწანისის სასამართლოში, მოსამართლე ჭუმბურიძემ დაღუპულის სიმამრს განუმარტა, რომ 10 წლის კვების თანხას აბსოლუტურად სამართლიანად ითხოვდა, მაგრამ მოთხოვნას მაინც ვერ დააკმაყოფილებდა, სამსახურიდან მომხსნიანო.

„თემურ ჭუმბურიძემ პირდაპირ განაცხადა, ეს ფული გეკუთვნით, მაგრამ პრეცედენტს ვერ დავუშვებო და შსს-ს ზეწოლის გამო, საქმე მის სასარგებლოდ გადაწყვიტა. მანამდე ჭუმბურიძის ერთ-ერთი მსაჯული ქალბატონი ქუჩაში შემთხვევით შემხვდა და მითხრა, თუ მოსამართლე თქვენ წინააღმდეგ გადაწყვეტს, განჩინებას ხელს არ მოვაწერო. გადაწყვეტილებაზე კი, მსაჯულები მენაბდე და ჩლაიძე აწერდნენ ხელს. როცა ქალაქის სასამართლომაც ჭუმბურიძის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, ამ მსაჯული ქალბატონის ნათქვამი გამახსენდა და მისი მოძებნა დავიწყე. მივაგენი, მაგრამ ჩლაიძე სულ სხვა ქალბატონი აღმოჩნდა. როცა გამგეობაში სახალხო მსაჯულთა სია ამოვიკითხე, გვარი მენაბდე საერთოდ არ ფიგურირებდა. თურმე, მოსამართლეები 1986 წელს არჩეულ მსაჯულთა სიებს იყენებდნენ. ეს უკვე სისხლის სამართლის დანაშაული და უხეში კანონდარღვევა იყო, რაც სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე და ამ ახლად აღმოჩენილი გარემოებით საოლქო სასამართლოს მივმართე. საოლქომ ამ მოტივით გადაწყვეტილება გააუქმა. წესით, საქმე პროკურატურაში უნდა გადაცემულიყო და სისხლის სამართლის საქმე აღძრულიყო, მაგრამ მოსამართლის გარდაცვალების გამო, ფაქტს მსვლელობა აღარ მიეცა“.

ამის შემდეგ, შსს-სა და ამყოლაძეებს შორის არსებულმა დავამ საოლქო სასამართლოში გადაინაცვლა. შსს-მ ამჯერად პროცესზე ახალი არგუმენტი წამოაყენა, გარდაცვლილი ჩუბინიძე კვების ფულს არც სიცოცხლეში იღებდა, ამიტომ მის ოჯახს კომპენსაცია არ ეკუთვნისო. ამყოლაძეებმა სასამართლოს შსს-ს მიერ ჯერ კიდევ ადრე გაცემული ცნობა წარუდგინეს, რომლის მიხედვითაც ჩუბინიძეს, ხელფასის გარდა, კანონით, კუთვნილი სხვა დანამატებიც ეძლეოდა. როცა ბონდო ამყოლაძემ შსს-ში ახალი ცნობის აღება გადაწყვიტა, უპასუხეს, უწყისები განადგურებულიაო, თუმცა კანონით, შინაგან საქმეთა სამინისტროში უწყისები მუდმივად უნდა ინახებოდეს. მოკლედ, საოლქო სასამართლომ ამყოლაძეების საჩივარი დააკმაყოფილა და შსს-ს 11 600 ლარის გადახდა დააკისრა. სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდა, მაგრამ შსს-მ აღსრულებაზე უარი განაცხადა და სააპელაციო სასამართლოს მიმართა. როგორც იქნა, პროცესი დაინიშნა, მაგრამ სამჯერ იმის გამო გადაიდო, რომ შსს-ს წარმომადგენლები საქმის განხილვაზე არ გამოცხადდნენ. მესამედ პროცესი ჩატარდა, რომელზეც შს სამინისტროს საპენსიო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მოადგილე ომარ ნაჭყებია, მთავარი ბუღალტერი ელენე ბეგლარიშვილი, იურისტი ჩხარტიშვილი წარმოადგენდნენ, თუმცა ბონდო ამყოლაძის განცხადებით, საქმეში მათი გვარები არ ფიგურირებს და ისინი შს სამინისტროს საფინანსო განყოფილებამ უფროსის, დავითაიას ინიციატივით გამოაგზავნა. სასამართლო პროცესი 1996 წლის 22 იანვარს მოსამართლის კაბინეტში გაიმართა. საჩივარი ამჯერადაც ვერ დაკმაყოფილდა. ამყოლაძე ყვება, რომ მოსამართლემ პროცესზე ღიად განაცხადა, ასეთი მოსარჩელე ბევრი გვყავს და ჩუბინიძის ოჯახი რომ დავაკმაყოფილოთ, თანხის მიცემა სახელმწიფოს სხვებისთვისაც მოუწევსო.

გარდაცვლილი პოლიციელის ოჯახი მაინც არ დანებდა და კუთვნილი თანხის მისაღებად საქალაქო სასამართლოს მიმართა, თუმცა ამჯერადაც უარი მიიღო, რის შემდეგაც, თეიმურაზ ჩუბინიძის სიმამრმა საჩივარი უზენაეს სასამართლოში შეიტანა. საქმე მაშინდელი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მინდია უგრეხელიძის მოადგილეს, ყიფიანს დაეწერა, რომელმაც განმარტა, რომ თემურ ჩუბინიძე კანონის გამოქვეყნებამდე გარდაიცვალა, კვების კომპენსაცია კი ხელფასის სახით არ გაიცემა ანუ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული ოჯახის ათი წლის ხელფასის ოდენობით კომპენსაციის გაცემისას, კვების ფული არ იანგარიშება. ბონდო ამყოლაძემ წერილი პირადად მინდია უგრეხელიძესაც მიწერა, მაგრამ უზენაესი სასამართლოს ყოფილმა ხელმძღვანელმა საქმის განხილვაზე უარი განუცხადა.

2002 წელს, ბონდო ამყოლაძემ შინაგან საქმეთა მინისტრის 1992 წლის 30 ივლისის დადგენილება მოიპოვა, სადაც საუბარია, რომ პოლიციის მუშაკებს კვების თანხა ეკუთვნით. შესაბამისად, საქმეში ახალი გარემოება გამოიკვეთა და ბონდო ამყოლაძემ დადგენილებით ისევ კრწანისის სასამართლოს მიმართა. პროცესი განახლდა, მაგრამ სასამართლომ მოთხოვნა არ გაითვალისწინა და საქმის განხილვაზე ამჯერადაც უარი განაცხადა. როცა გარდაცვლილი პოლიციელის ოჯახმა საქმის განხილვა ისევ სააპელაციო სასამართლოში მოითხოვა და მორიგი უარი მიიღო, გაირკვა, რომ პროცესზე მყოფ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს გიორგი ტიკაძეს მინდობილობა არ ჰქონდა. ეს საქმეში ახალი გარემოება იყო, ამიტომ სასამართლო პროცესი ხელახლა უნდა დანიშნულიყო, მაგრამ მოსამართლემ ბონდო ამყოლაძეს ამჯერადაც არ დაუმალა საკუთარო პოზიცია, გადაწყვეტილებას არ გავაუქმებ, ამაზე თავი უზენაესმა იმტვრიოსო.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლემ, რომელმაც თემურ ჩუბინიძის ოჯახს კვების საფასურის კომპენსაციაზე უარი განუცხადა, 1995 წლის 2 მარტს, სამსახურეობრივი მოვალეობისას გარდაცვლილი პოლიციელის კორნელი ჩლაიძის ოჯახის სარჩელი დააკმაყოფილა. როგორც ბონდო ამყოლაძე აცხადებს, აღნიშნული საქმეები იდენტური იყო, მაგრამ მოსამართლემ რატომღაც განსხვავებული გადაწყვეტილება მიიღო.

12-წლიანი ბრძოლისა და დავის შემდეგ, 2007 წელს, ბონდო ამყოლაძემ სიმართლის ძიებაზე ხელი ჩაიქნია და უზენაესი სასამართლოდან სარჩელი თავად გაიტანა. თემურ ჩუბინიძის ოჯახი სახელმწიფოსგან ყურადღებას დღესაც ელის. სხვათა შორის, ამყოლაძეების მდგომარეობაში, მინიმუმ, ათასი ოჯახია...

„პირად საუბარში მამულაიშვილმა მითხრა, ნაციონალებმა მომთხოვეს, ბანკიდან 14 მილიონი გამოიტანეო“

მე-6 გვერდიდან

— ანუ თანხა და ამ ბინაში თქვენი წილი ნაციონალებმა წაიღეს?

— დიახ. ბანკი აპირებს ამ შენობაში შესვლას, მაგრამ არ შევუშვებთ, რადგან ბანკს მხოლოდ მიწის ფართობი ეკუთვნის და არა შენობა. როცა მამულაიშვილის ქონება დააყადაღეს, გაირკვა, რომ მიწის ნაკვეთის გარდა, მის საკუთრებაში არაფერია რეგისტრირებული. აშენებულ კორპუსს ხელი ვერ ახლეს, რადგან ამხანაგობა „ედიფისის“ სახელზეა.

— მიწა ეკუთვნის ბანკს, შენობა ამხანაგობას და, თუ მოისურვებს, ბანკი ამ შენობას დაანგრევს?

— ბანკის წარმომადგენლებს კორპუსის სასტუმროდ გადაკეთება სურთ.

— ბანკმა რომ სასტუმრო გახსნას, ამხანაგობაში წილს დაკარგავთ?

— ადვოკატმა განგვიმარტა, სასტუმრო განთავსდება ამ შენობაში თუ საცხოვრებელი კორპუსი, 15% მაინც ჩვენს საკუთრებაში რჩება. ამჟამად ბათუმის პროკურატურასა და აჭარის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან ოფიციალურ გადაწყვეტილებას ველოდებით. შემდეგ მივმართავთ სასამართლოს... ბანკის წარმომადგენლებმა გვითხრეს, 7 000 000 აშშ დოლარი გადაგვიხადეთ და ეს მიწა თქვენი იქნებაო. გადახდას არ ვაპირებ, რადგან ვალი არ ამიღია.

„ვერსია“ სამშენებლო კომპანია „ოქტან-მედიას“ მფლობელს, **სოსო მამულაიშვილსაც** დაუკავშირდა, რომელმაც გურამ ნინუას თაღლითი უწოდა და მხოლოდ მოკლე კომენტარით შემოიფარგლა: **„რა 14 000 000 აშშ დოლარი? ბანკიდან ეს თანხა საერთოდ არ გამომიტანია და არც ნაციონალური მოძრაობისთვის გადამირიცხავს. ამ სისულელეზე და გურამ ნინუას ნაბოდვარზე როგორ მირეკავთ? არ დაიჯეროთ, რასაც გურამ ნინუა გეუბნებათ, მტკნარი სიცრუეა. ეს მალე სასამართლოშიც გამოჩნდება“.**

მართალია, სამშენებლო კომპანია „ოქტან-მედიას“ მფლობელი „ვერსიასთან“ საუბრისას უარყოფს, რომ ერთ-ერთი ბანკიდან 14 000 000 აშშ დოლარის კრედიტი აიღო, მაგრამ წელიწადნახევრის წინ, როდესაც ამ თემაზე „ვერსიაში“ პირველად ვწერდით, ეს ფაქტი დაგვიდასტურა. იმ პერიოდში საუბარი იყო 6 796 000-ლარიან კრედიტზე და „ვერსიის“ კითხვაზე, როგორ აიღო 600 კვ/მ მიწის ნაკვეთზე ამხელა სესხი, მამულაიშვილმა მაშინ ასე გვიპასუხა: **„რას ამბობთ? ბანკიდან 600 000 ლარის სესხი ავიღეთ. ტყუილია, 6 მლნ ლარი არ აგვიღია. უბრალოდ, იმ პერიოდში ჩემსა და „საქართველოს რკინიგზას“ შორის გაუგებრობა მოხდა, რადგან შესრულებული სამუშაოს მიუხედავად, რკინიგზამ კუთვნილი ანაზღაურება არ გადამიხადა და ბანკის ვალი 14 000 000 აშშ დოლარამდე მხოლოდ ამის გამო გაიზარდა. ახლა სასამართლო დავა ჩემსა და ბანკს შორის მიმდინარეობს, მაგრამ ბანკის დავალიანების გასტუმრება არ შემიძლია. რკინიგზამ არ გადამიხადა შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება და კრედიტის დაფარვა ვეღარ შევძელი. სხვათა შორის, რკინიგზასთან დაკავშირებით, სასამართლოს გადაწყვეტილებაც არსებობს, აღმასრულებელ დირექტორს 11 წელიც კი მიუსაჯეს, მაგრამ საზღვარგარეთაა გაქცეული. არც მე ვაპირებ ასე გაჩერებას, რკინიგზასთან დაკავშირებით, სასამართლო პროცესს გავაგრძელებ, მოვითხოვ, ზარალი ამინაზღაურონ, რათა ბანკის დავალიანება დავფარო და საცხოვრებელი კორპუსი არ დავკარგო“.**

მიუხედავად იმისა, რომ წელიწადნახევრის წინ გამოქვეყნებულ სტატიაში სოსო მამულაიშვილი ბანკიდან კრედიტის აღების ფაქტს არ უარყოფს, „ვერსია“ გურამ ნინუას კიდევ ერთხელ დაუკავშირდა და ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი მოითხოვა. გურამ ნინუამ, მართლაც, წარმოგვიდგინა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ 2010 წლის 10 სექტემბერს, ერთ-ერთი ბანკის ბათუმის ფილიალსა და სოსო მამულაიშვილს შორის გაფორმდა ხელშეკრულება. სოლიდური თავდებობის საშუალებით, სოსო მამულაიშვილმა ამ ბანკიდან 14 000 000 აშშ დოლარის კრედიტი აიღო.

არასრულწლოვანი გოგონების შინაური ცხოველებისა და ფულის სანაცვლოდ გათხოვების ტრადიცია 21-ე საუკუნეშიც გრძელდება

საქართველო, ადრეული ქორწინების მიხედვით, რეგიონში მეორე ადგილზეა

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

მოსახლეობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, მედიაკლუბ „ფრონტლაინ-ჯორჯიაში“ ადრეული ქორწინების პრობლემებზე იმსჯელეს. შეხვედრა გაერო-ს მოსახლეობის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის ორგანიზებით ჩატარდა, რომელსაც სტუდენტებიც ესწრებოდნენ. ნაჩვენები იყო ვიკა ბუკიას ფილმი — „დედობა ბავშვობაში“, რომელიც საქართველოში ადრეული ქორწინების თემაზე გაერო-ს მოსახლეობის ფონდის მხარდაჭერით მომზადდა.

როგორც გაერო-ს მოსახლეობის ფონდის ოფისის ხელმძღვანელმა, ლეილა ბაქრაძემ განაცხადა, საქართველო ადრეული ქორწინების მიხედვით, რეგიონში მეორე ადგილზეა. ადრეული ქორწინება, რომელიც უმეტესად, 13-14 წლის ასაკის გოგონებში ფიქსირდება, ბევრი რისკის მომტანია. ამ ასაკში ბავშვებს ქორწინება გაცნობიერებული არ აქვთ ანუ ადრეული ქორწინება სრულფასოვანი განათლებისა და განვითარების შანსს ართმევს. ამასთან, ამ ასაკში ბავშვის ორგანიზმი მშობიარობისთვის მოუმზადებელია და, ამდენად, ოჯახის შექმნა მისი ჯანმრთელობისათვის დიდ რისკს შეიცავს.

გაერო-ს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა, ასევე, აღნიშნა, რომ არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა, თუ რა რაოდენობის ქორწინება ხდება ადრეულ ასაკში, ამიტომ საჭიროა, ჩატარდეს სრულფასოვანი კვლევა, რათა დადგინდეს, თუ ადრეული ქორწინების გამომწვევი მიზეზები.

ბაქრაძემ ასევე განაცხადა, რომ საქართველოს კანონმდებლობით, ქორწინების ასაკი 18 წელია, თუმცა გარკვეული გამონაკლისის სახით, ქორწინების დარეგისტრირება 16 წლის ასაკიდანაც შეიძლება, ამიტომ რეგისტრაციის სისტემაში მხოლოდ 16 წლის ასაკის ზემოთ ქორწინება ხვდება. ბაქრაძის განცხადებით, საქართველოში ადრეული ქორწინების პრობლემა პირველად სახალხო დამცველის ანგარიშში 2012 წელს გაჩნდა.

ჟურნალისტ ვიკა ბუკიას ზემოხსენებული ფილმში, რომელიც აჭარის რეგიონსა და მარნეულშია გადაღებული, არასრულწლოვანთა ქორწინების სხვადასხვა ფაქტია ასახული.

რაში მდგომარეობს ადრეული ქორწინების გამომწვევი მიზეზები და როგორ უნდა გამოსწორდეს არსებული ვითარება? „ვერსიამ“ ამ კითხვით ფსიქოლოგ **თეონა ლომთაძეს** მიმართა:

„ადრეული ქორწინება ერთ-ერთი მტკივნეული თემაა, რომლის გამომწვევი მიზეზებიც კულტურულ თავისებურებაში, მენტალიტეტსა და განათლების დეფიციტში უნდა ვეძიოთ. არასრულწლოვანი გოგონას გათხოვება ან ვაჟის დაქორწინება, როცა ფსიქო-სექსუალური, პიროვნული განვითარება დასრულებული არაა, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის სახიფათოა. გარდა ამისა, განათლების, სოციალური განვითარებისა და აქტიურობის შესაძლებლობა იკლებს, რაც ხშირად ფსიქო-ემოციურ პრობლემებსაც იწვევს. ასევე, საგულისხმოა, რომ ხშირად ადრეული ქორწინება მოზარდის ნების გარეშე ხდება და სექსუალური და სხვა სახის ძალადობა ახლავს – ირღვევა ადამიანის უფლებები და ილახება ღირსება. ძალადობრივი ოჯახური გარემო შვილებისთვისაც საზიანოა. მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, თუ რა მავნე შედეგისმომტანია ნაადრევი ქორწინება; იმ მანკიერი დამოკიდებულების შეცვლა, რომელიც ადრეულ ქორწინებას ამართლებს და ხშირად, ადამიანის პიროვნული, ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანების ხელშემწყობია. მყარ და ჰარმონიულ ოჯახს პიროვნულად ზრდასრული, ოჯახის შექმნისთვის ფსიქოლოგიურად მომწიფებული ადამიანები ქმნიან, რომელთაც მსგავსი ღირებულებათა სისტემა, ურთიერპატივისცემა და სიყვარული აერთიანებს“

სახალხო დამცველის, უჩა ნანუაშვილის განცხადებით, ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ თემებში გოგონათა გასხვისება შინაური ცხოველებისა და ფულის სანაცვლოდ, დამკვიდრებული პრაქტიკაა.

გაერო-ს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მონაცემებით, მსოფლიოში 18 წელს მიუღწეველი, დაახლოებით, 14 მილიონი გოგო ქორწინდება ერთი წლის განმავლობაში, 38 000 — ერთ დღეს, 13 გოგონა კი — 30 წამში. საქართველოში არსებული ვითარება არანაკლებ მძიმეა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, 2011 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის იანვრამდე, საქართველოს საჯარო და კერძო სკოლებში საბაზო საფეხურის დასრულებამდე განათლების მიღება 7 367-მა გოგონამ შეწყვიტა. სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის ინფორმაციით, შესწავლის შედეგების მიხედვით, სკოლის მიტოვების ძირითადი მიზეზი გათხოვებაა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 108-ე მუხლის თანახმად, ქორწინება დაიშვება 18 წლის ასაკიდან, ხოლო 16 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის ქორწინება — მშობლების ან მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობით. სტატისტიკით, განათლების შეწყვეტის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ქვემო ქართლის რეგიონში, ასევე კახეთში, ეთნიკური აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებში, კაბალში (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი); ყარაჯალასა (თელავის მუნიციპალიტეტი) და იორმუღანლოში (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი).

იმიტირებული ტუბერკულოზი და პატიმრებისგან ნაცემი ქსნის ზონის მაყურებლები

პატიმარი №0578

ადრეც ასე იყო და ახლაც ასეა — ყველაზე უკეთესი მდგომარეობა სასჯელაღსრულებით სისტემაში ე.წ. ბალნიჩკაზეა. საავადმყოფოში პატიმრებს მეტი თავისუფლება აქვთ, საკვებიც უკეთესია და შესაბამისად, იქ მოხვედრას ბევრი ჯანმრთელი პატიმარი ცდილობს. გამონაკლისი არც ის ზონაა, რომელზეც ტუბერკულოზით დაავადებულ პატიმრებს მკურნალობენ. ტუბერკულოზის იმიტაციაც შეიძლება და ნუ გაგიკვირდებათ, თუ ამ ზონაზე სრულიად ჯანმრთელ პატიმრებსაც შეხვდებით, მაგრამ საინტერესო ისაა, როგორ ატყუებენ ექიმებს. ანალიზს ხომ პატიმარი პირადად აბარებს — სპეციალურ კონტეინერში აფურთხებს და ეს კონტეინერი ტუბერკულოზის ცენტრში იგზავნება. რაც მთავარია, კონტეინერს სახელი და გვარი არ აწერია, აწერია მხოლოდ ნომერი, რადგან პატიმრის ნათესავებმა ნაცნობი ექიმი არ ნახონ და სასურველი დასკვნა არ დააწერინონ, თუმცა...

რუსთავის ზონაზე პატიმრები სეირნობდნენ, როცა ერთ-ერთს მოულოდნელად ხველა აუტყდა და პირიდან სისხლი წასკდა.

— უეჭველი ტუბიკი აქვს, ფანტანმა დაარტყა და ახლა ამ სისხლდენას მხოლოდ ნემსით თუ გაუჩერებენ. გავეცალოთ, ტუბიკის ჩხირები არის ახლა ჰაერში და შემთხვევით არ დავიჭიროთ, — ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა პატიმარმა და იქაურობას გაშორდა. პატიმარი 0578 პირველად ხედავდა, როგორ სდიოდა პირიდან სისხლი ტუბერკულოზიან ადამიანს, ამიტომ მოშორებით დადგა და ყურადღებით აკვირდებოდა. მოულოდნელად, დაავადებულთან სხვა პატიმარი მივიდა, პირთან ერთჯერადი სალფეთქი მიუტანა და უთხრა, ამოახველეო. იმანაც რამდენჯერმე ამოახველა და სალფეთქი სისხლითა და ნახველით შეღება. პატიმარმა სალფეთქი სათუთად გადაახვია და გაშორდა. 0578 სულ დაიბნა და ჯანმრთელ პატიმარს დაედევნა.

— რად გინდა? — ჰკითხა გოგიტას და თან სალფეთქზე ანიშნა.

— ტუბერკულოზიანების ზონაზე უნდა წავიდე და იმისთვის მჭირდება.

— როგორ? — სულ დაიბნა 0578.

— როგორ და, ამას მზეზე გავშლი, სისხლი გახმება, ნახველი ფხვნილად იქცევა და გამოვიყენებ.

— როგორ გამოიყენებ?

— კონტეინერს რომ მომიტანენ ჩასაფურთხებლად, ჩუმად პირში ჩავიყრი ამ ფხვნილს და მერე ჩავაფურთხებ. ტუბიკის ჩხირს უეჭველად ამოაგდებს და წავალ, ჯანმრთელი კი ვიქნები, მაგრამ ანალიზის პასუხს სად გაექცევიან, ნახევარი ზონა ასე მიდის ტუბში, — გაეღიმა გოგიტას.

— კი, მაგრამ შემთხვევით ეგ ფხვნილი რომ გადაგცდეს და მართლა აიკიდო ტუბერკულოზი? — გაოცდა პატიმარი.

— ათიდან რვა შემთხვევაში მასეც ხდება, მაგრამ აღარ შემიძლია აქ, რა, რომ დამიჭირეს, 130 კილო ვიყავი, აქაურმა ბალანდამ 60 კილომდე დამიყვანა და სანამ სულ არ გავქრები, ნორმალური კვება მინდა, — გამოაცხადა გოგიტამ და ორ კვირაში ტუბერკულოზიანებში მართლაც წაიყვანეს.

კიდევ ორი კვირის შემდეგ, გოგიტა რუსთავის ზონაზე დააბრუნეს.

— რა მოხდა, გოგი, აკი, ყველაფერი ისე გააკეთე, როგორც საჭირო იყო? — პატიმარი 0578 გოგიტას საკანში ეახლა.

— იქ მეორე ანალიზი ამიღეს, რამდენიმე ადამიანის ნახველისგან დამზადებული ფხვნილი მქონდა და როცა ჩავაფურთხე და ანალიზის პასუხი მოვიდა, ექიმმა მითხრა, აფერისტი ხარ შენო. თურმე, ტუბერკულოზს ოთხი სტადია აქვს ანუ ოთხი ჩხირი თუ გინახეს, სასიკვდილოდ განწირულად გთვლიან. ოთხ ჩხირზე მეტი ბუნებაში არ არსებობს. მე კიდევ რამდენიმე ადამიანის ნახველი ხომ მქონდა და 17 ჩხირი ამომიგდო, ექიმმა აფერისტობა დამაბრალა და უკან გამომაბუნძულა. ისე, თუ ჩემი ძმა ხარ, მაყურებლებთან წამყევი, რაღაც მინდა ვუთხრა, — სთხოვა გოგიტამ მეგობარს და ორივე მაყურებლების კამერაში წავიდა.

მაყურებლები კარტს თამაშობდნენ. მოსულები მიესალმნენ და გოგიტამ გამოაცხადა, კითხვა მაქვს და მომისმინეთო. კარტის თამაში მაშინვე შეწყდა.

— ქსნის ზონაზე, ტუბიანებში, რა, მაყურებლები ვინც არიან, იცნობთ? — იკითხა გოგიტამ.

— კი, ჩვენი ძმები არიან, — უპასუხეს მაყურებლებმა.

— შემახსენეთ, რა ევალება მაგ თქვენს ძმებს, — უკვე ხმის კანკალით იკითხა გოგიტამ.

— ჩვენ რაც გვევალება, შენ კარგად იცი, მაგრამ რატომ კითხულობ? — წარბი აწია ზონის მაყურებელმა.

— მიყვანისას მცემეს, დედა მაგინეს, სახეში მაფურთხეს „ნადზირატელებმა“. მერე წამალი რომ მოვითხოვე, ისევ მცემეს და ასეთ დღეში მხოლოდ მე არ ვიყავი. დღეში თითო მკვდარი გააქვთ ზონიდან და მერე ტელევიზორში ამბობენ, ტუბერკულოზით მოკვდაო. არადა, ცემაში კლავენ პატიმრებს და მაყურებლები ხმას არ იღებენ...

— მოიცა, გოგი, შენ გადი გარეთ და კარი გარედან ჩაკეტე, ჩვენ საბაზრო გვაქვს, — უთხრა მაყურებელმა 0578-ს, თუმცა მან მეგობარი მარტო არ დატოვა. წამოდგა, კარი გარედან სხვას ჩააკეტინა, თავად კი ისევ გოგიტას გვერდით ჩამოჯდა.

— შენ ერთხელ მაინც გააკეთებ იმას, რასაც ჩვენ გეუბნებით ხოლმე? — შეუღრინა მაყურებელმა.

— როგორ არა, წინ ლიანდაგივით სროკი მაქვს, — გაეჭიმა 0578-ს და გოგიტას მიუბრუნდა, — გააგრძელე...

— რაღა გავაგრძელო, ასე არ შეიძლება, ან მაყურებლებმა პატიმრების უსაფრთხოებაზე უნდა იზრუნონ, ან წავიდნენ, ბატონო, სახლში, — დაამთავრა გოგიტამ.

— შენ, რა, პრეტენზიებს უყენებ? — ისევ იფეთქა მაყურებელმა.

— მომისმინე, საყვარელო, პრეტენზიებს კი არ უყენებს, გულისტკივილი თქვა თავისი. ხომ ამბობ, ჩვენი ძმები არიანო, დაუკავშირდი და უთხარი, რომ პატიმრები უკმაყოფილოები არიან. რას ნიშნავს, აბა, დაავადებულ ბიჭებს რომ სცემენ და მაყურებლები კაკაოსა და კარაქიან პურს ჭამენ? — არ დაუთმო 0578—მა.

— შენ უკვე ზედმეტები მოგდის, — გაბრაზდა მაყურებელი და წამოიწია, თუმცა 0578-მა ხელი ასწია, — ზონის „პალაჟენეცთან“ გავაგრძელოთ საუბარი.

„პალაჟენეცთან“ საუბარი რამდენიმე წუთში დასრულდა. მან ორივე მხარეს მშვიდად მოუსმინა და შემდეგ, მხოლოდ მაყურებლებთან დარჩა. ერთ თვეში რუსთავის ზონის პატიმრებმა გაიგეს, რომ ქსანში ტუბერკულოზით დაავადებულები მაყურებლების კამერაში შეცვივდნენ და სასტიკად სცემეს. გოგიტა სიხარულით ხტუნავდა, მაგრამ 0578-მა ნაღვლიანად უთხრა, არც ახალი მაყურებლები შეცვლიან რამესო. მართლაც, ახალმა მაყურებლებმა ვერაფერი შეცვალეს და ქსანში, ტუბერკულოზიანების ზონაზე პატიმრებს ისევ ცემაში ხოცავდნენ, სანამ 2012 წელს მთლიანად რეჟიმი არ შეიცვალა.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲔᲜᲘᲨ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4		3	2	5		1		
				6				
			3			8	6	
5		7	4			9		
6								8
		9			2	6		5
	5	1			7			
				4				
		4		8	1	5		2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

7			4	9				
		1	7	6				
	2				1			
	5	7					3	
	4	6				8	7	
	9					6	1	
			6				8	
				1	5	4		
				8	4			2

ᲠᲗᲣᲚᲘ

6				3	2		9	
9				7		5		
4		1			5			
					9	8		1
	4						5	
8		9	6					
			2			3		9
		6		1				4
	7		8	9				5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	4				2			
	2		5					4
7	6		4		1			
5				1	4			
1	9	7				4	3	2
			2	9				5
			1		8		4	9
4					5		1	
			9				2	

სახელს დევიზით ცვლის

აშშ-ს ქალაქ სიონის მცხოვრებმა სასამართლოს მიმართა თხოვნით, სახელი ამერიკის შეერთებული შტატების დევიზით შეუცვალონ. 57 წლის სტივ კროიშირს სურს, In God We Trust („უფლის იმედი გვაქვს“) ერქვას. ამ წინადადებიდან In God — სახელი იქნება, We Trust კი გვარი. სასკოლო ავტობუსის მძღოლი და თვითნასწავლი მხატვარი კროიშირი ამ უცნაურ სურვილს იმით ხსნის, რომ აშშ-ს დევიზი საუკეთესოდ ასახავს მისი ცხოვრების ისტორიას; ამბობს, უფლის რწმენა მასთან მხოლოდ უამრავი განსაცდელის შემდეგ მივიდა — ცოლს გაშორდა, კარგა ხანს უფულოდ იყო და დეპრესიაც ტანჯავდა. კროიშირს სჯერა, ახალი სახელი მომავალში უბედურებისგან დაიცავს. იურისტები, თავის მხრივ ამბობენ, რომ არსებობს ზოგიერთი შეზღუდვა, რომლის გამოც სასამართლო არ რთავს ნებას ამერიკის მოქალაქეებს მათთვის სასურველი სახელი დაირქვან. ეს ეხება ცნობილი ადამიანების სახელებს ან დარეგისტრირებულ სავაჭრო მარკას. სპეციალისტები ეჭვობენ, ვინმეს სახელად იმ ლოზუნგის დარქმევის ნებას მისცემენ, რომელიც აშშ-ს ფულის ყველა ერთეულზე წერია.

„სასიკვდილო“ ნომრისთვის ფული არ დაიშურა

ჰონგკონგელმა ქალმა 130 ათასი დოლარი გადაიხადა (ერთი მილიონი ჰონგკონგური დოლარი) საავტომობილო ნომერში 4444, მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში რიცხვი 4, ტრადიციულად, სიკვდილს უკავშირდება და აქაურები შეძლებისდაგვარად თავს არიდებენ მის გამოყენებას. ფონეტიკურად სიტყვა „ოთხი“ ჩინურში „სიკვდილის“ იდენტურია. ბევრ საცხოვრებელ კორპუსში არ არსებობს მე-4 ან მე-14 სართულები. მიუხედავად ამისა, ჩინეთის სამხრეთით, ქალაქ ჩაოჩჟუს მცხოვრებლებში ციფრი 4 დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან აქაურ დიალექტზე წყალს ნიშნავს, ტრადიციული ჩინური წარმოდგენების მიხედვით კი, წყალი სიმდიდრის სიმბოლოა.

შვილის გაცდენისთვის მამა დააპატიმრეს

ოჰაიოს შტატის მცხოვრები ბრაიან ჯეგნერი საპატიმროში 180 დღეს იმის გამო გაატარებს, რომ მისი ქალიშვილი სკოლას ხშირად აცდენდა და მათემატიკის გამოცდა ვერ ჩააბარა. მამას „არასრულწლოვანისთვის სამართალდარღვევაში ხელშეწყობა“ ედება ბრალად. 18 წლის ბრიტანი არ ესწრებოდა გაკვეთილებს და სასამართლომ მამას მოსთხოვა, გაეკონტროლებინა ქალიშვილის საგანმანათლებლო პროცესი, თვალყური ედევნებინა გამოცდებისთვის მზადებაში. სასამართლოს დადგენილება მეტად უსიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა ჯეგნერის ოჯახისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ქალიშვილზე მეურვეობა მას აქვს დაკისრებული, გოგონა დედასთან ცხოვრობს და თან 18 თვის შვილიც ჰყავს. მამამ განაჩენის გასაჩივრება გადაწყვიტა, ბრიტანი კი დაპირდა, რომ ტესტის ხელმეორედ ჩაბარებას შეეცდება. როგორც მოსამართლემ განაცხადა, თუ გოგონა გამოცდის ჩაბარებას შეძლებს, ბრაიანს ციხიდან გაათავისუფლებენ.

წინა ნომერში გასუდლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

7	4	6	5	3	2	1	9	8
5	3	2	1	9	8	4	6	7
1	9	8	7	4	6	5	3	2
8	2	3	9	7	5	6	4	1
6	1	7	4	8	3	2	5	9
4	5	9	6	2	1	7	8	3
3	8	5	2	1	4	9	7	6
2	7	4	3	6	9	8	1	5
9	6	1	8	5	7	3	2	4

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

3	9	2	1	8	6	7	5	4
5	7	8	4	3	2	1	6	9
1	4	6	9	7	5	3	2	8
6	1	9	2	5	8	4	7	3
4	3	5	7	6	1	9	8	2
8	2	7	3	4	9	6	1	5
2	6	3	8	1	4	5	9	7
9	5	4	6	2	7	8	3	1
7	8	1	5	9	3	2	4	6

ᲠᲗᲣᲚᲘ

8	9	2	3	1	5	4	6	7
7	3	6	2	4	9	5	8	1
5	4	1	8	7	6	9	2	3
4	5	7	6	3	2	1	9	8
1	2	9	7	8	4	3	5	6
6	8	3	5	9	1	7	4	2
3	7	5	4	6	8	2	1	9
2	1	8	9	5	7	6	3	4
9	6	4	1	2	3	8	7	5

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

6	4	5	9	8	1	7	3	2
2	7	3	6	5	4	1	9	8
1	8	9	7	3	2	6	5	4
5	3	1	4	9	6	2	8	7
9	6	8	5	2	7	3	4	1
4	2	7	3	1	8	9	6	5
8	5	2	1	6	3	4	7	9
7	1	6	8	4	9	5	2	3
3	9	4	2	7	5	8	1	6

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9	8	4	3	5	1	7	6	2
6	5	3	7	4	2	1	9	8
2	1	7	9	8	6	3	5	4
5	9	2	6	7	4	8	3	1
4	7	1	8	3	5	6	2	9
8	3	6	2	1	9	5	4	7
3	2	9	1	6	8	4	7	5
7	4	8	5	2	3	9	1	6
1	6	5	4	9	7	2	8	3

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

7	9	2	5	6	1	4	8	3
3	5	8	4	7	2	6	1	9
1	4	6	3	9	8	5	7	2
9	8	7	6	4	3	2	5	1
6	3	1	7	2	5	9	4	8
5	2	4	1	8	9	7	3	6
2	1	5	9	3	4	8	6	7
8	7	3	2	5	6	1	9	4
4	6	9	8	1	7	3	2	5

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	2	9	5	4	3	8	7	6
8	7	6	2	1	9	4	5	3
5	4	3	8	7	6	2	1	9
7	6	8	3	9	5	1	4	2
9	3	4	7	2	1	6	8	5
2	5	1	6	8	4	9	3	7
6	1	7	9	5	8	3	2	4
4	9	5	1	3	2	7	6	8
3	8	2	4	6	7	5	9	1

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

8	4	1	6	2	9	3	7	5
7	2	5	1	3	8	9	6	4
3	9	6	7	5	4	2	1	8
6	5	2	4	1	3	8	9	7
4	3	9	2	8	7	6	5	1
1	8	7	9	6	5	4	3	2
2	1	8	5	9	6	7	4	3
9	7	3	8	4	1	5	2	6
5	6	4	3	7	2	1	8	9

მე-10 გვერდი: 1. შამპუნი; 2. პორტერი; 3. შუშანიკი; 4. მეანდრი; 5. უზანგი; 6. იდიომი; 7. პენჩინგბოლი; 8. რეალია; 9. ესქილე; 10. ილიამნა; 11. აშხაბადი; 12. ათერომა; 13. აურუმ; 14. მაგადანი; 15. ინფარქტი; 16. ლუისი; 17. ვრუბელი; 18. მელვილი; 19. ასტრა; 20. იურთი; 21. ნუარე; 22. ნირი; 23. კლიო; 24. რიეკა; 25. ლამპასი; 26. ფორანი; 27. „რედინგი“; 28. ატაქსია; 29. ბასბი; 30. ულანოვა; 31. რაპირა; 32. დოლი; 33. კა; 34. სირ; 35. სამბო; 36. „სელტა“; 37. „როიტერი“; 38. ფიფა; 39. ბამაკო; 40. მანასი; 41. პოლ; 42. ლირი; 43. ალაო; 44. რემა; 45. ასა; 46. არენა; 47. რენტა; 48. დიქტი; 49. მარკესი; 50. ნაი; 51. „პუმა“; 52. ალისია; 53. უნო; 54. ნეი; 55. კიი; 56. სან; 57. პა; 58. ტორტილა; 59. ბანდარ; 60. იდო; 61. იკებანა; 62. შოუ; 63. ბუა.

მე-12 გვერდი: 1. ამიმია; 2. მუზა; 3. მეგალომანია; 4. ნალა; 5. სვინგი; 6. ვანდალი; 7. ნანეტი; 8. აქცია; 9. უტოია; 10. ნაგაზი; 11. ლილუ; 12. ანონსი; 13. სეანსი; 14. იანკი; 15. ქატო; 16. იტონი; 17. „ბასტია“; 18. ლეია; 19. აპისი; 20. ომი; 21. აქანდაზი; 22. თამუნია; 23. ექსპერიმენტი; 24. იმუნიტეტი; 25. ბაქმტაინი; 26. მურილიო; 27. ნაია; 28. ნეკი; 29. უძო; 30. „ონა“; 31. ლენონი; 32. ჯეზვე; 33. იმერეთი; 34. ნაიადა; 35. რეი; 36. მიქსტი; 37. ივლისი; 38. სლაი; 39. ელჩი; 40. სირაჯი; 41. იანძი; 42. აისი; 43. კაირო; 44. კუზი; 45. პან; 46. მოა; 47. ზვარი; 48. ვოკი; 49. ლიბო; 50. კურტ; 51. დასი; 52. ასკილი; 53. ტირი; 54. რქა; 55. კამარილია; 56. არამისი; 57. ელამი; 58. მწვადი; 59. ბერე; 60. ტომატი; 61. თმა; 62. მარად; 63. ეშმი; 64. ახო; 65. ბრა; 66. ყორანი; 67. ატრია; 68. სკრა; 69. ბროლი; 70. სემი; 71. „ველა“; 72. არამი; 73. ტრიო; 74. ამწე; 75. რილეევი; 76. არეტა; 77. ინა; 78. უმი; 79. მი; 80. კარამბოლი; 81. იდა; 82. მილენიუმი; 83. იდე; 84. პრაია; 85. ერი; 86. ლია. გამუქებულ უჯრებში იკითხება: თბილისის ახალი მერი.

1. ცივი იარღი, საჯიგველი
2. ღვთის არსებობის უარყოფა
3. კვერცხის-გულიანი სალებავი
4. იტალიე-ლი პოეტი ტორკვატო ...
5. გულიდან გამომავალი სისხლ-ძარღვი
6. ძალიან იშვიათი ნივთი
7. მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა
8. უცნობი სიდიდის აღმნიშვნე-ლი ასო
9. ზევსის შიკრიკი ბერძნულ მითოლოგ
10. ესპანელი ჩოგბურ-თელი
11. ოდესელო-ნის „მშობ-ლიური ქალაქი“
12. ძვირფას-მერქნიანი ხე
13. სპარტაკის აჯანყების ჩამხშობი
14. იგივეა, რაც იალქანი
15. მდ. ობის უდიდესი შენაკადი
16. პატარა მტაცებელი ცხოველი
17. იაპონ. დიზაინერი
18. მუსლიმთა დღესასწ.
19. მეც-ნიერების გამოჩენილი მოღვაწე
20. ჯარების მართვის ორგანო
21. გამ-ჭვირვალე ოპტიკური მინა
22. ნაპო-ლეონის ერთ-ერთი მარშალი
23. ცხენის კისრის დასასრულის ბეჭთან
24. მსაჯული „კავკასიურ ცარცის წრეში“
25. მუშის გვარი „დათა თუთ-აშხიაში“
26. საღღესას-წაულო ნამცხვარი
27. კომპოზი-ტორი ... მორიკონე
28. ცხ-ენის ფეხზე დასაკრავი რკინა
29. სამეურნ. მუშაკი
30. ხის გამ-ონაზარდი
31. „ზოლე-ბიანი“ ცხოველი
32. იტალიური პელმენი
33. ძვ. ქართული საესტრადო კოლექტივი
34. იტალიის ქალაქი, რომლის სტადიონზე თამაშდება სან-მარინოს „გრანპრი“
35. კრემიანი ნამცხვარი
36. ისრის წვერი
37. ცისფერი ძვირფასი ქვა
38. წი-წვოვან მცენარეთა წვენი
39. გამოუწვავი აგური
40. ინგლისური სქელი ლუდი
41. მდინარე ესპანეთში
42. იგივეა, რაც მევახშე
43. ავს-ტრალიის უდიდესი მდინარე
44. ბულ-გარეთის დედაქალაქი
45. მუსი-კალური გამის IV ნოტი
46. ფრანგი ლექსიკოგ-რაფი
47. შევროლეს მოდელი
48. დიდი ზომის მღრღნელი
49. მოძრავი ცირკის კარავი
50. საწარ-მოო გაერ-თიანების სახეობა
51. მზის ღმერთი ეგვიპტურ მითოლ.
52. ჯირკვ-ლოვანი ორგანოს სიმსივნე
53. ვულკანური გავარვა-რებული მასა
54. უშიშა-რი, მამაცი
55. მოგრძო გორა
56. ნადირთა მეფე
57. ესტონეთის დედაქალაქი
58. მზის ღმერთი რომაულ მითოლ.
59. ბალახის ჩრდილი
60. ბჰუტანის დედაქალაქი
61. წილი ბიზნესში

Facebook-ᲞᲝᲡᲢᲔᲒᲘᲡᲗᲒᲘᲡ ᲓᲐᲐᲒᲐᲢᲘᲛᲠᲔᲡ

რვა ირანელ ახალგაზრდას, ერთად 127 წელი პატიმრობა მიუსაჯეს სოციალურ ქსელში ანტისამთავრობო განცხადებებისთვის. ყოველი მათგანი ციხეში 11-დან 21 წლამდე გაატარებს. ბრალდებულთა ვინაობა არ ხმაურდება, თუმცა სასამართლო დადგენილებაში ნათქვამია, რომ პატიმრობა ეროვნული უსაფრთხოებისთვის შექმნილი საშიშროების, ანტისამთავრობო პროპაგანდისა და რელიგიური სიწმინდეების შეურაცხყოფისთვის შეეფარდათ. აღსანიშნავია, რომ 2009 წლიდან ირანში სოციალურ ქსელებში (Facebook, Twitter და YouTube) შესვლა აკრძალულია, წელს, 14 მაისიდან Instagram-იც დაბლოკეს. ვირტუალური სივრცის კონტროლისთვის ირანში სპეციალური განყოფილებაა შექმნილი.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

სტრესს პატიმრობით ებრძვიან



ციხის კამერა შესაფერისი ადგილი ნამდვილად არ არის სტრესის მოსახსნელად, თუმცა, სამხრეთ კორეელებს ამის თაობაზე საპირისპირო აზრი აქვთ — სპეციალიზებული დაწესებულება, სახელწოდებით Prison Inside Me (ციხე ჩემს შიგნით), სადაც ყველა მსურველს, გარკვეულ ფასად შეუძლია თავი პატიმრად იგრძნოს, ქალაქ ხონჩხონის გარეუბანში მდებარეობს. როგორც ციხის ხელმძღვანელი აცხადებს, სტრესთან ბრძოლის არაორდინალური იდეა მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ადვოკატის საქმიანობამ თავისუფალი დრო აღარ დაუტოვა. არ ვიცოდი, როგორ დამესვენა, ვგრძნობდი, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ ვმუშაობდი და ვერ ვაკონტროლებდი ცხოვრებას, — აცხადებს იგი. 47 წლის კორეელი პენიტენციალურ სისტემაში მომუშავე ახლობელს დაუკავშირდა და სთხოვა, როგორმე ერთი კვირით ციხეში მოხვედრაში დახმარებოდა, ასე მაინც რომ გაქცეოდა რუტინას და სასიცოცხლო ენერგია აღედგინა. ამ საქმეში მეგობარი ვერ დაეხმარა და ადვოკატმა გადაწყვიტა, თავისთვის მიეხედა. გამჭრიახმა იურისტმა შეიმუშავა ციხის პროექტი, სადაც ნებისმიერ ადამიანს რამდენიმე დღის გატარება შეუძლია. შენობის კომპლექსი დაახლოებით 2 მილიარდი ვონი (19 მილიონი დოლარი) დაჯდა. ორდღიანი ანტისტრესული კურსის ღირებულება კი 146 დოლარამდეა. აქ პრაქტიკულად ყველაფერი ისეა, როგორც ნამდვილ ციხეში: სტუმრებს ართმევენ ზედმეტ ნივთებს, მათ შორის წიგნებსა და მობილურს, ყველას ერთნაირ ფორმას აცმევენ და ერთადგილიან კამერაში ათავსებენ. როგორც დაწესებულების ხელმძღვანელი აცხადებს, მისი „ციხე“ საკმაოდ კომფორტულია ნამდვილი საპატიმროსგან განსხვავებით.

ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘᲡ „ᲙᲝᲚᲐ“ ᲩᲐᲛᲝᲐᲡᲮᲔᲡ

ცოტა ხნის წინ ბელორუსში ბახუსის საწინააღმდეგო „კოლა“ ჩამოასხეს კარტოფილისგან, რომელიც ქვეყნის ქიმიურ-ტექნოლოგიური ცენტრის სწავლულებმა შექმნეს. მეცნიერთა განცხადებით, სასმელი მხოლოდ ნატურალური პროდუქტისგან მზადდება და მისი მეშვეობით ბახუსს ადვილად შეებრძოლებიან. გაზიან სასმელს „მიკოლა“ უწოდეს და პურის ბურახის გემო აქვს. ამჟამად მეცნიერები მზად არიან, მარკეტოლოგებს სამი სახის „კოლა“ შესთავაზონ: კლასიკური, ნაბახუსევისა და ანთების საწინააღმდეგო თვისებებით. სწავლულები ვარაუდობენ, რომ მათი სასმელი მაღაზიის დახლზე მალე გამოჩნდება.

ᲡᲣᲓᲝ�კᲣᲓᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		6						7
			1	6			9	2
			9				5	1
	1						4	3
7			8		3			9
6	4						7	
2	7				8			
8	6			3	1			
3						7		

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

4		7					8	
	6		4			3		
					5			9
				8	6		5	3
		8				7		
7	5		2	1				
9			5					
		2			8		1	
	8					6		2

ᲠᲗᲣᲚᲘ

					6		3	
4			8					9
		9		3	2			7
	8						2	1
		1				7		
5	2						4	
3			2	9		5		
8					7			3
	7		5					

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

		2	8		5			
		9		6	3			
8	4					9		
	3		2	4				6
	8	6				3	2	
2				3	8		7	
		5					3	7
			1	2		6		
			3		7	1		

შაქრის შემცვლელები – სასარგებლო თუ მავნე პროდუქტი

დღემდე არ არსებობს ერთიანი მოსაზრება იმის თაობაზე, მავნეა თუ არა შაქრის შემცვლელები, თუმცა ისინი მეტად პოპულარულია იმ ადამიანებში, ვისაც ჭარბი წონა ან დიაბეტი აწუხებს. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს პროდუქტი შეიძლება იყოს როგორც უსაფრთხო, ისე საშიში ადამიანის ორგანიზმისთვის, მით უმეტეს, რომ არსებობს ნატურალური და სინთეტიკური შაქრის შემცვლელები.

ნატურალურია ფრუქტოზა, ქსილიტი და სორბიტი... ისინი, ძირითადად, ნახშირწყლებისგან შედგება, ნელა შეიწოვება კუჭში და არ იწვევს ინსულინის მკვეთრ გამომუშავებას. ეს თვისება განსაკუთრებით სასარგებლოა დიაბეტიანებისთვის, თანაც ნატურალური შემცვლელები შაქარზე გაცილებით ტკბილი და კალორიულია.

სინთეტიკურს მიეკუთვნება აცესულფამი, ციკლამატი და სახარინი. ისინი ენაზე სიტკბოს ნერვულ იმპულსს იწვევს და ამიტომაც დამატკბობლებს უწოდებენ, თუმცა სინთეტიკური შემცვლელები არ აითვისება ორგანიზმის მიერ და არ აქვს ენერგეტიკული ღირებულება. მათი კალორიულობა ნულის ტოლია, მაგრამ შაქარზე ტკბილია.

ბევრს მიაჩნია, რომ ნატურალური შემცვლელები ხელს უწყობს წონაში მატებას კალორიულობის გამო, თუმცა, სინამდვილეში, ზედმეტ კილოგრამებს სინთეტიკური შემცვლელები იწვევს. აცესულფამი გვხვდება სხვადასხვა პროდუქტში, მას შეუძლია გამოიწვიოს ალერგია და ნაწლავების მუშაობა შეაფერხოს. სახარინი კიდევ ერთი იაფი შაქრის შემცვლელია, რომელიც მცირე რაოდენობით გამოიყენება, პროდუქტს რომ სიტკბო მისცენ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორივე შემცვლელი ორგანიზმისთვის მავნეა, რადგან ახალი გამოკვლევის თანახმად, შარდის ბუშტის კიბოს იწვევს. ბევრს აინტერესებს მავნეა თუ არა ასპარტამიც? ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ის შეიძლება ნატურალურ საკვებ დანამატს გავუთანაბროთ. სხვები ფიქრობენ, რომ მასში შემავალი მჟავები ბევრი დაავადების მიზეზია, ამიტომ სჯობს, თავი შევიკავოთ ამ შაქრის შემცვლელისგან, ვიდრე მის ყველა თვისებას დაადგენენ. სპეციალისტები გვირჩევენ, არ მოვიხმაროთ ნებისმიერი სინთეტიკური დანამატი საკვებში, რადგან, მიუხედავად ნულოვანი კალორიულობისა, ხელს უწყობს ზედმეტი საკვების მიღებას და შეიცავს ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებებს.

მეცნიერებმა სიმსივნის ეპიდემია აღიარეს

სიმსივნის კვლევის საერთაშორისო სააგენტომ პლანეტაზე არსებული ამ სენის ბოლო სტატისტიკასა და ონკოდაავადებით გარდაცვლილთა რაოდენობაზე დაყრდნობით, სიმსივნის საგანგაშო ტემპით ზრდა დააფიქსირა. ოფიციალურ დასკვნაში ნათქვამია, რომ კიბო დედამიწის მცხოვრებთათვის ეპიდემიად იქცა და 2030 წლისთვის ონკოდაავადებულთა რაოდენობა ორჯერ გაიზრდება. მიუხედავად იმისა, რომ მკურნალობაში პროგრესი შეინიშნება, პრობლემის გადაჭრის გზებს ვერ ვპოულობთ, ერთადერთი საშუალება ადრეული დიაგნოსტიკაა, რომელიც საშუალებას იძლევა, დროულად ჩავერიოთ და გავაუმჯობესოთ შედეგები. 2012 წელს მსოფლიოში დაავადებულთა რიცხვმა 14 მილიონს მიაღწია, უახლოეს მომავალში კი 22 მილიონამდე გაიზრდება, — აღნიშნავს ორგანიზაციის დირექტორი კრისტოფერ უაილდი და მოუწოდებს პლანეტის მოსახლეობას, პროფილაქტიკისა თუ პრევენციის მიზნით, დროულად ჩაიტარონ დიაგნოსტიკა.

„სწრაფი მომსახურების" კლინიკა ავსტრიელებისთვის

ავსტრიელმა მედიკოსმა დიტერ ზეკელმა „სწრაფი მომსახურების" პოლიკლინიკა გახსნა ვენაში, კომპანია Eni-ს ერთ-ერთ ავტოგასამართ სადგურზე და პაციენტებს რიგში დგომისას შეუძლიათ მანქანა გარეცხონ, საწვავი ჩაასხან ან საყიდლებზე სუპერმარკეტში შეიარონ... როგორც ზეკელი აცხადებს, პოლიკლინიკა ყოველდღე, დილის ექვსიდან საღამოს ათ საათამდე იმუშავებს და თერაპევტთან 15-წუთიანი კონსულტაცია 50 ევრო ეღირება, თან წინასწარ ჩაწერაც არაა საჭირო. რასაკვირველია, დაწესებულება ადგილობრივი მედიკოსების კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა — ზოგი მიიჩნევს, რომ ასეთ კლინიკაში ნაკლებია ზუსტი დიაგნოზის დასმის ალბათობა, თუმცა „სწრაფი მომსახურების" პოლიკლინიკის მფლობელი აცხადებს, რომ შემთხვევათა 80%-ში თერაპევტთან გასაუბრება სავსებით საკმარისია დაავადების განსასაზღვრად. დიტერ ზეკელი ადრე საავადმყოფოში ანესთეზიოლოგად მუშაობდა, იყო სასწრაფო დახმარების ექიმიც, ნატო-სა და გაერო-შიც მუშაობდა მთავარ ექიმად.

ასპირინი აბრმავებს

ამერიკელი მეცნიერების მოსაზრებით, მათ, ვინც რეგულარულად მოიხმარს ასპირინს, უფრო ხშირად აწუხებთ თვალის დაავადებები, რაც საბოლოოდ სიბრმავეს იწვევს. სწავლულებმა ვისკონსინის უნივერსიტეტიდან ეს დამოკიდებულება აღმოუჩინეს პაციენტებს, რომლებიც ათი წლის განმავლობაში მაინც იღებდნენ ასპირინს სისხლის გასათხელებლად, თრომბოზის პროფილაქტიკისთვის. მედიკოსების განცხადებით, მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით ერთი პროცენტი ადრე თუ გვიან, თვალის ამ პრობლემას აწყდება. მკვლევარებმა 20 წლის განმავლობაში საგულდაგულოდ შეისწავლეს 43 წელს გადაცილებული 5 ათასი პაციენტის ისტორია და აღმოაჩინეს, რომ ასპირინის მიღების პერიოდში ამ ოფთალმოლოგიური დაავადების სხვადასხვა ფორმა გამოუვლინდათ; ისიც დაადგინეს, რომ ხუთი წლის განმავლობაში ამ პრეპარატის მკურნალობა არ იწვევს მსგავს რისკს.

მსუქანი ბრიტანელები საფლავში ძვირს გადაიხდიან

დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე ახალი განკარგულება შედის ძალაში მათთვის, ვისაც ჭარბი წონის პრობლემა აქვს — ამიერიდან მსუქნების დაკრძალვა 75 გირვანქა სტერლინგით ძვირი ეღირება. ასეთ გადაწყვეტილებამდე ბრიტანეთის ხელისუფლება სასაფლაოების თანამშრომელთა მიმართვის შემდეგ მივიდა — ისინი ჩიოდნენ, რომ მსუქანი ადამიანები გაცილებით მეტ ადგილს იკავებენ. ჯერჯერობით ახალი წესები მხოლოდ ბედფორდშირის საგრაფოში მოქმედებს, სადაც მძიმეწონიანი მოქალაქის დამარხვა 194 გირვანქა სტერლინგი დაჯდება, გამხდარი მიცვალებულის პატრონს კი 129 გირვანქის გადახდა მოუწევს. როგორც ბრიტანეთის საბჭოს დამკრძალავი კომიტეტის წარმომადგენლები აცხადებენ, ეს ღონისძიება „აუცილებლობამ" განაპირობა, რადგან სასაფლაოებზე ბოლო დროს ადგილის დეფიციტია.

1. ყურზე მისამაგრებელი საყურე
2.დედამიწის ყველაზე გარე, მაგა-რი გარსი
3.დედოფლის მსლებელი გაუთხოვარი ქალი
4. გერმანელი კომპოზიტორი
5. აშშ-ის ექსპრეზიდენტი
6.ადგილობრივი მმართველობის მოხელე ძვ. საქართველოში
7.პლანეტა ვენერას ერთ-ერთი სახელწოდება
8. ქვეყნის წარსული
9. გვარი, მოდგმა
10. ნოდარ დუმბაძის საბავშვო ქალაქი
11. ქვეყანა ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში
12.ინგლისის სიდიდით III ქალაქი
13. მელა „ოქროს გასაღებში“
14. იგივეა, რაც მინანქარი
15. არჩევის მეორე სახელწოდება
16. გოლიათი სკანდინავიურ მითოლოგიაში
17. ვულკანი კუნძულ სიცილიაზე
18. ახალი ზელანდიის აბორიგენი
19.იგივეა, რაც ლოქო
20.საკოსტიუმე ქსოვილი
21.ცხენებშებმული მრავალადგილიანი კარეტა
22. მუხის ნაყოფი
23. მდინარე ქუთაისში
24.სიმინდის ხმელი ღერო და ფოთლები
25. თირკმელა- სოკო
26. დიდი ჯოხი
27.ჰოლივ. ყველაზე მაღალანაზღ. მსახიობი
28.ფრანგი განმანათლებელი და მწერალი
29.ინგლის. მუსიკოსი ... სტიუარტი
30. მცირე ზომის არია
31. წოდებულება, ტიტული
32.დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა
33.საზეიმო წვეულება რამე მოვლენის აღსანიშნავად
34. ხელოვნური საერთაშორისო ენა
35.გველეშაპის მუცელში მყოფი ბიბლ. პერსონაჟი
36. გერმანული ავტომარკა
37. იგივეა, რაც პლატო
38. ნოტის ხანგრძლიობის გამადიდებელი ნიშანი
39. ირლანდიის თვითსახელწოდება
40.ჯულია რობერტსის კინოროლი ... ბროკოვიჩი
41. რევაზ ლაღიძის ოპერა
42. ახალგაზრდა მეზღვაური
43. ჰიდროტექნიკური ნაგებობა
44.ამერიკელი მწერალი ედგარ ... პო
45. საგნის მონახაზი, კონტური
46. ბაბილონური მითოლოგიის მთავარი ღვთაება
47.სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგია
48.ფრანგი მოქანდაკე
49.პიანისტი მუნჯი კინოს სეანსზე
50. ჯონი დეპის ექსმეუღლე ვანესა ...
51. ამერიკელი მწერალი დენ ...
52.ტომ სოიერის ტერატურული „მამა“
53. საქართველოს დედაქალაქი
54. მუსიკალური გამის II ნოტი
55.წარმოების ვარდნა
56.კანფეტი ბავშვ. ენაზე
57. აღმოსავლური სიმებიანი საკრავი ერთვგვარი
58. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
59. ზოდიაქოს ნიშანი
60. თანაბარი ანგარიში ფეხბურთში
61. ფუფუალას ვირტუალური სატრფო
62.ყინულზე სასრიალო იალქნიანი ნავი
63.ვიეტნამის დედაქალაქი
64.სანთლისმსგავსი ნივთიერება
65. კაპიკების რაოდენობა აბაზში
66. საძირკვლად დატანებული ხის ძელი
67. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
68.შხამიანი გველი
69.სიგალის კინოროლი
70. აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი
71. დანახარჯი ან რისამე ფასი, რაც შემდეგში უნდა გადაიხადონ
72. ებრაელის ბიბლიური სახელწოდება
73.ჰოლივუდის ლეგენდა ... გარდნერი
74.ინდოელი ქალის ეროვნული სამოსი
75. იაპონელთა ტრადიციული სასმელი
76.რუსული მრგვალი სადღესასწაულო პური
77.ავარიის დროს ზარალის განაწილების გაანგარიშება
78. ენესის-ის ვოკალისტი... კოლინზი
79. წყალქვეშა კლდე
80. იგივეა, რაც ჯიქანი
81. მოსაცდელი დარბაზი თეატრში
82.ჩრდილოამერიკელ ინდიელთა თამაში
83. მიმართვა პოლონელი მამაკაცისადმი
84. დირიჟაბლების სარემონტო ნაგებობა
85.საშუალო დებილსა და იდიოტს შორის
86. პატარა საწნახელი
87.უფლის მიერ შექმნილი ადამიანი

ჰაერისთვის გადასახადი დააწესეს

ვენესუელაში, კარაკასის აეროპორტმა მგზავრებისთვის სუფთა ოზონირებული ჰაერით სუნთქვის საფასურის გადახდა დააწესა. შიდა და საერთაშორისო რეისების მგზავრები, რეგისტრაციისას ვალდებულნი არიან, 127 ბოლივარი (დაახლოებით 20 დოლარი) ახალი სავენტილაციო მოწყობილობით სარგებლობის საფასური გადაიხადონ, რომელიც წლის დასაწყისში დაამონტაჟეს. აეროპორტის ვებ-გვერდზე განმარტებულია, რომ სამხრეთ ამერიკისთვის ინოვაციური „ბიოუსაფრთხოებისა და ოზონირების“ სისტემა ჰაერს ოზონით ამდიდრებს, რაც სასიკეთოდ მოქმედებს გარემოს მდგომარეობასა და მგზავრების ჯანმრთელობაზე.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.